# სახალხო გაზეთი

№ 151. შაბათი, 6 ნოემბერი, 1910 წ. წელიწადი მეორე.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 4 მ., საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-იდან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. № 12.

ფოსტის ადრეს: Тифлисъ, Большая Ванкская ул., N 12, Семену Пашалашвили.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

## სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

### სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

****ხელის-მომწერთა საყურადღებოდ****

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.



კვირას, 7 გიორგობისთვეს, გადახდილი იქმნება ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში წირვა და პანაშვიდი ამ ეკლესიის მამულის გამგე კომიტეტის ყოფილ თავმჯდომარეთა

**გ.-ა. თავ. იოანე-ბიჭვის ძის ამილახორის და გ.-მ. თომა გრიგოლის ძის ჯომარჯიძის და წევრის მღვდლის გიორგი ჩაგუნავას**

სულთა მოსახსენებლად. (1—200—1)

ანასტასია თადეოზის ასული ბურჯანაძისა შვილებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 7 ამ თვეს, პეტრე-პავლეს ეკლესიაში გარდახდილი იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

**პავლე გიორგის ძის ბურჯანაძის**

სულის მოსახსენებლად. (1—201—1)

ძმები ზაქარია, გიორგი, ნიკოლოზ და ივანე სვიმონის ძენი და ნინო შიოს ასული შვილებითურთ მესხიევები და სოფიო ამირიძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველნი—ძვირფასის ძმის, მეორე—მეუღლის და მესამენი—საყვარელ მამის და მეოთხე—სიძის

**ალექსანდრე სვიმონის ძის მესხიევის**

გარდაცვალებას. მიცვალებულს გამოასვენებენ კვირას, დილის 9 ს., საკუთარს სახლიდან ავჭალის ქუჩა № 11. კაშუეთის ეკლესიაში. დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზედ. პანაშვიდი ყოველ საღამოს 8 საათზედ. (2—498—1)

ევგენი დიმიტრის ძე ათაბეგი, მისი მეუღლე და შვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დაუვიწყარი უდროოდ გარდაცვალებულ შვილის

**ივანე ევგენის ძის ათაბეგის**

მეშვიდე დღის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია შაბათს, 6 ნოემბერს, დილის 9 ნახ. საათზე, კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკლესიაში, სადაც არის დაკრძალული. (1—202—1)

მარიამ დავითის ასული და გიორგი როსტომის ძე ისაკაძენი, ეკატერინე ივანეს ასული და ივანე რაჟდენის ძე ბეჟანოვები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ტრაგიკულად გარდაცვალებას პირველი ქმრისა, მეორენი ბიძისა და უკანასკნელი—სიმამრის

**თევდორე კაცია ძის ისაკაძისას**

პანაშვიდი შაბათს, 5 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე. გამოსვენება ოლგას ქუჩიდან, (საკუთ. სახ. № 21), კვირას, 7 ნოემბერს, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში, აქედან წმ. ნინოს სასაფლაოზე დასაკრძალავად. (1—203—1)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება, დღეც და ღამეც.

საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

**ლამბაშიძე გ. დ.:** შინ. და შაგშ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

**გურჯი გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

**კარშინი ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და საბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.**—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 12—2 ნახ. ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ვ. ა.** ყურ., ყელის და ცხვირ., ყოვ. დღე 2—2-ნახ. ს.

**სობოლევსკი გ. გ.** ქირურ., ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა მკურნალობა. საფასურით. (300—6.—318)

ტელეფონი № 862. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 20.

კვირას, 7 ნოემბერს, 1910 წელს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

## სამეგრელოს მთავარი ლევანი.

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად, გ. ყიფიანისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი: დავითაშვილი ნ., ვიქტორელი მ., ლეჟავა ო., ლოლუა ა., ქილარჯიშვილი მ., მოთამე ა., ჯავახიშვილი ნ. ბ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი ვლად., არადელი ვ., ალექსიძე ა., გვარამე ნ., ქივიძე ი., ზარდალიშვილი ი., მესხი კ., მდივანი ბ., მატარაძე ვ., მგალობლიშვილი დ., მამფორია ი., ალექსიძე, შალიკაშვილი ვ., ციციშვილი ნ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადმინისტრაცია ქართ. დრ. საზოგადოება. რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

ადგილების ფასი: გალერეა 20—40 კ.-მდე, პარტერი 50 კ.—3 მ., ლოჟები 5 მ.—10 მ. კუპონები ლოჟებში მეგირდებისთვის 50 კ.

დამსწრეთა საყურადღებოდ: თეატრის ადმინისტრაცია აჩით ყველას აუწყებს, რომ მოქმედების დაწყების შემდეგ სათეატრო დარბაზში არავის არ შეუშვებენ, ამიტომ მესამე ზარის შემდეგ ყველანი თავ თავის ადგილზე უნდა ისხდნენ.

მზადდება წარმოსადგენად: „იმედის დაღუპვა", მისს გობს. (3—2)

სახალხო სახლი ძმ. ზუბალაშვილებისა

№ 6. შაბათს, 6 ნოემბერს № 43.

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის მიერ ტასო აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

## ტარტიუფი, ანუ მუზმუზელა

კომ. 5 მოქმ. მოლიერისა, თარგ. ივ. მაჭავარიანისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ტ. აბაშიძე, ქართველიშვილი, დეკანოზიშვილი, ნაკაშიძე, ბ-ნნი ანაშვილი, ბაქრაძე, გედევანოვი, გოცირიძე, ინაშვილი, მეტრეველი, თაზიშვილი და სხ.

ფასები 50 კ.-დან—5 კ.-მდე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

გამგეობა სთხოვს საზოგადოებას სხვის ადგილებზე ნუ დასხდებიან. ბავშვების თეატრში შეყვანა და ფარდის აწევის შემდეგ თეატრში შესვლა აკრძალულია. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილის 12-ან 2-ის და 6-ან საღამოს 8 ს.-მდე.

მორიგე წევრი ლ. ვახვახიშვილი. რეჟისორი ნ. გოცირიძე. (2—2)

მოითხოვეთ ბუნებრივი

## კახური ღვინოები

თავ. ალექ. მ. ჯორჯაძისა და ამხ.—ს.

საკუთარ ვენახებიდან.

საწყობი მიხეილის პროსპექტზე, სახლი № 86; აგრეთვე ისყიდება საუკეთესო მაღაზიებსა და რესტორანებში ხელმისაწვდომ ფასად. (30—186—4)

აზიური ბუფეტი მტკვარზე

## მ. გ. პირაპოზოვისა

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ტელ. N 103.

ყოველ-დღე სადილის დროს 2-დან 4 საათამდე და საღამოთი 9-დან ღამის 2 საათამდე უკრავს ახლად მოსული ინტერნაციონალური სიმებიანი ორკესტრი სოლო-კონცერტისტის ა. გ. ეგიაზაროვის ლოტბარობით. (10—163—9)

## რ. ა. პორტუგალოვისა

ჩამოვიდა და მოიტანა ვარშავიდან, ოდესიდან და პეტერბურგიდან

## დიდი ძალი

ქალებისა და ბავშვების ზედა ტანისამოსი და კოსტიუმები,

იუბკები, ზედა და ქვედა და ხალათები

კაცების აუარებელი პალტოები, კოსტიუმები, წვიმის დროს ხატარებელი პალტოები და წამოსასხამები, საზღვაო წამოსასხამები და აგრეთვე ბავშვების პალტო და კოსტიუმები. რადგანაც ყველა ზემოხსენებული საქონელი გადმოცემული მაქვს საკომისიოდ, ამიტომ იაფად იყიდება, ვიდრე სხვა მაღაზიებში.

ვინც ჩემგან იყიდის, ძალიან კმაყოფილი დარჩება. მაღაზია მოთავსებულია ნიკოლოზის ზიდზე «ფაბრიჩნი მაღაზიის» ფირმის ქვეშ. N N 24—25. (50—57—31)

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნებართვით

## გაიხსნა საბავშო ბაღი

ანასტასია კონსტანტინეს ასულის გედევანიშვილისა.

დაწვრილებით ცნობათა და პირობათა შეტყობა საბავშო ბაღში მიღების შესახებ შეიძლება საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის" რედაქციაში, დილიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, გოლოვინის პროსპექტი, სახლი ზუბალაშვილისა, № 8. მეცადინეობა დაიწყება 8 ნოემბრიდან (7—185—7)

სახალხო უნივერსიტეტი ქალაქის სახალხო სახლი კ. ი. ზუბალაშვილის სახელობისა.

კვირას 7 ნოემბერს, ნ. მ. სპილიოტი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე:

## ფარაონთა ეგვიპტე

(ბუნდოვანის სურათებით)

ლექციის შემდეგ უფასო კონცერტი. ტრიო, შეასრ. პალცევის ოჯახობა. დუეტი, შეასრ. ა. ბალტამეჟსკისა და მ. პალცევი. ტრიო, შეასრ. ქ-ნი დავიდოვისა, ბბ. გრებენსკოი და ნასიბოვი. აკკომპანიმენტი მ. თ. ზეიცისა. ლექციის დასაწყისი დილის 11 საათზე. ბილეთები იყიდება შუადღის 12—2 საათამდე და საღამოს 6—8 ს-მდე.

ადგილების ფასები 5 კ. და 10 კ.

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

ღარეებს უოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**მ. გაზაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**შ. ა. მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ა. მოსოლოვი**—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

**ტერ-ნიკოლოზოვი დ. გ.**—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—481)

## მასწავლებელი

ამზადებს შეგირდებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლებისათვის. ნახვა შეიძლება დილის 8—11 საათამდე და საღამოს 3—5 ს-მდე. მიხაილოვის ქ. № 144. (25—162—15)

## საჭიროა აგენტი

პროვინციაში გაზეთების გავრცელების ბიუროსათვის შემდეგ ადგილებში: ლანჩხუთი, ყვირილაში, და სიღნაღში.

ადრესი: Тифлисъ, Эриванская площадь д. Гургенова Эр. Горделадзе. (2—2)

**ექიმი** ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეის ქუჩების კუთხე N 24. (0—754)

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვე სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს $5^1/_2$—$6^1/_2$ საათამდის. გაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

**ექიმი** რ. დ. მაჭავარიანი იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ბაქინოვის ქუჩა N 7. (თ.—180—27)

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე. გადავიდა იზმაილოვის ქუჩაზე N 2.

**ექიმი** ქ. ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი დაბრუნდა საზღვარ გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება. იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ, საშარდე და სასქესო აგებულობათა, სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., თბილისის ქ. ფირალოვის სახლი. (50—170—9).

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე განისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4. სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** ზ. ნ. მამაკიანი შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (საზოგადო). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388. (100—ზალ.—72)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი** ჯაფარიძე ქ. ქუთაისში იღებს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვების და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ-დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—4)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

**მიხეილ გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1; საღ. 6—7 საათ. გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. 20 (0—6.—76)

**ექიმი** ე. ი. მინასიანცი. სწამლობს შინაგან, ბავშვთა და კუჭის ავადმყოფობას; პროფესორ Mathieu-სპეციალურ კლინიკიდან. მიიღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათზე, საღამოთი 5—7 საათ. ელისაბედის ქუჩა N 39. (100—14)


## დეპეშები

პეტერბ. ტელეგრაფის სააგენტოსაგან.

5 ნოემბერი.

### საზღვარ-გარედ

**ლონდონი.** ლორდთა პალატა. დარბაზი გაჭედილია, გალერიაზე ბევრი დიპლომატია თავის მეუღლეებით, არის ბევრი პერიც. უნიონისტი ლენსდოუნი გრძელ სიტყვაში იმ აზრს ამტკიცებს, რომ პერთა რიცხვის შემცირება სასურველიაო. არც ერთს პერს უფლება არ უნდა ჰქონდეს, რომ შთამომავლობითის უფლებით ზედა პალატაში ხმის მიცემა შეეძლოსო. ლორდთა პალატა უნდა ემყარებოდეს დანიშნულსა და ამორჩეულ პერებზე. ჩემი პარტია ეცდება, შეამუშაოს ის ზომები, რომლის შემწეობითაც, შესაძლო გახდება გონივრულისა და შეძლებისამებრ—მშვიდობიანის გზით მოვაწესრიგოთ ქვედა და ზედა პალატების განხეთქილებაო. თუმცა ორივე პარტიის მიერ არჩეულ წევრთა კონფერენცია ვერ შეთანხმდა, მაგრამ პარლამენტს შეძლება უნდა მიეცეს, რომ ეს რთული და დიდმნიშვნელოვანი საკითხი კვლავ განიხილოსო. ბილლს ხელმეორედ 7 ნოემბერს წაიკითხავენ. რეიტერის ცნობებით, მთავრობას განზრახვა აქვს პარლამენტი მაინც დაითხოვოს.

**პარიზი.** საპარლამენტო კომისიამ, რომელსაც როშეტის საქმის გამოძიება ჰქონდა მინდობილი, კლემანსოს ჩვენება ჩამოართვა. კლემანსომ განაცხადა, რომ პრემიერ-მინისტრად ყოფნის დროს, პოლიციის უფროსს ლეპინს ბრძანება მივეცი, როშეტის საქმის თაობაზე ბრალდებულის ჩვენებანი მოეთხოვნა. ამით მე მსურდა მთავრობისათვის ის ბრალდება ამეცდინა, ვითომც იგი როშეტს ხელს აფარებდა. მაგრამ ლეპინისათვის არ დამივალებია ისეთ პიროვნების გამონახვა, რომელიც როშეტის წინააღმდეგ საჩივარს აღძრავდა და როშეტის მომჩივნად გამოვიდოდა.

**ვენა.** რეიხსტაგი 11 ნოემბრისათვისაა მოწვეული.

**ლვოვი.** სეიმმა ხარჯთ-აღრიცხვა მიიღო ხმის უმრავლესობით, რუსმა დეპუტატებმა ხმა არ მისცეს. უკრაინელი დეპუტატები ძლიერ ხმაურობდნენ. ლევიცკი, კოროლი და ფუდიკევიჩი ხარჯთ-აღრიცხვის მიღების წინააღმდეგნი იყვნენ.

პოლონელი კონსერვატორი სტარჟინსკი, რუს დეპუტატთა მიერ წამოყენებულ ავტონომიის მოთხოვნილების წინააღმდეგ იღაშქრებს და გალიციის ეროვნებათა მიხედვით ორ ნაწილად გაყოფის წინააღმდეგია.

**ვენა.** დეპუტატმა სუპილომ ტრიესტის გაზეთ „ნოვი ლისტ"-ში ვასიჩის წერილი გამოაქვეყნა. ამ წერილით ვასიჩი გამოტყდა, რომ მე ის მილან სტეფანოვიჩი ვარ, რომელიც ფრიდიუნგის საქმის საბუთებში ბელგრადისა და სამხრეთ სლოვენიის მდივნადაა ნახსენებიო. ვასიჩი სწერს აგრეთვე, რომ მე ფორგაჩისა და ავსტრო-უნგრეთის მისსიის სხვა მოხელების თანადასწრებით შევადგინე ყალბი საბუთები, რის დამტკიცებაც შემიძლიაო. ამ საბუთების ერთი პირი ერენტალს გადაეცა, დედანი კი სერბიელთ აქვთ ხელში. სუპილომ ეს ამბავი მასარიკს აცნობა.

**ლონდონი.** ოფიციალურად იუწყებიან, რომ მეფე გეორგი დედოფლითურთ ინდოეთში გაემგზავრება 1911 წ. 13 დეკემბერს, რომ ქალაქ დელიში დაგვირგვინების დღესასწაული გადაიხადოს.

**მადრიდი.** ესპანიისა და მაროკოს შეთანხმება გამოაქვეყნეს. ამ შეთანხმებაში ოთხი მუხლია: 1) რიფის ოლქის მართვა-გამგეობა 2) სულთანის ვალდებულება, ისეთი პოზიციები არ გაამაგროს, რომელიც სეუტისათვის საშიში იქნება; 3) სამხედრო ხარჯის ასანაზღაურებლად მაროკომ 75 წლის განმავლობაში 65 მილიონი პეზეტი უნდა გადაუხადოს ესპანიას, 4) სულთანმა კომისარი უნდა დანიშნოს და სენ-შუალამინერი ესპანიას გადასცეს.

**სტამბოლი.** დრუზები დაამარცხეს; მათ მთების სანგრებს თავი მიანებეს და უდაბნოში გაიქცნენ.

**ვენა.** ავსტრიის დელეგაციამ სამინისტროს მიერ წარდგენილი სამხედრო ხარჯთ-აღრიცხვა დაამტკიცა. სამხედრო მინისტრი ხელმეორედ შეეხო მოსალოდნელ ომიანობას და შეკითხვაზე:—რომელ ქვეყანას გულისხმობ?—განაცხადა: სამხედრო მინისტრის შენიშვნა, გარეშე საქმეთა მინისტრის განცხადება არ არის, მაგრამ ომიანობა ბუნებრივად მოსალოდნელია, თუ მხედველობაში ავსტრიის გეოგრაფიულ მდგომარეობასა და ისტორიას მივიღებთ. უკანასკნელ 12 ომის დროს, ავსტრია 7 ომში ერთსა და იმავე დროს სხვა და სხვა კუთხით იბრძოდა, ხოლო 5 ომის დროს მთლად თავის ინაბრად დარჩა. იმისდა მიუხედავად, რომ მოკავშირე სახელმწიფოები გვყავს, ჩვენ მხოლოდ ჩვენს ძალაზე უნდა ვემყარებოდეთ, ვინაიდან შესაძლებელია, რომ ომის დროს მოკავშირეებს თავის საზღვრების დაცვა დასჭირდეთ; ამის გარდა არ უნდა დავივიწყოთ, რომ მოკავშირედ მხოლოდ ძლიერი სახელმწიფოა სასურველი. მინისტრს იმედი აქვს, რომ შემდეგ დელეგაციის სამერმისო სამხედრო საჭიროების პროგრამას წარუდგენს.

## რ უ ს ე თ ი

**გრ. ლ. ტოლსტოის მდგომარეობა ასტაპოვო.** 3 ნოემბერს დღისით ტოლსტოის გულის ცემა მეტად შეუსუსტდა, მაჯა არეულად უცემდა, გონება ფხიზელი ჰქონდა. საღამოს 9 საათზე მაჯის ცემა 37,9 ჰქონდა, გულის ცემა—სუსტი.

ღამე სიცხემ უმატა 38,3 გრადუსამდე—დილის 8 საათზე 38 გრადუსი სიცხე ჰქონდა. ავადმყოფმა ღამის 10 საათზე დაიძინა. ძილში შფოთავდა. დილით კვლავ ჩაეძინა. აქ მოვიდა გუბერნატორი თ—დი ობოლენსკი.

10 ს. 30 წ. დილისა. ტოლსტოის სახლობა თხოულობს გამოვაცხადოთ, რომ ისინი ავადმყოფი ნახვას ერიდებიან, რომ ასეთ უეცარის ჩამოსვლით არ აღელვონ. გადასწყვიტეს, ავადმყოფთან მხოლოდ ის პირნი დარჩნენ, ვინც ავადგახდომის დროს იყო. ავადმყოფის მდგომარეობა უიმედო არ არის.

4 ნოემბრის ბიულეტენი: ტოლსტოის ღამით ძილი გაუკრთა, დილით 38,1 სიცხე ჰქონდა. ნაშუადღევის 4 საათზე—38,3 გრადუსი, მაჯა 100—110—ჯერ ცვალებადად უცემდა, სუნთქვა 32—36 ჯერ. მადა არა აქვს, დღისით მილულია. **ექიმი მაკოვსკი.**

საღამოს 8 საათზე და 27 წ. სიცხე 38,4. გულის ცემა ისევ სუსტი და საერთო სისუსტე. ავადმყოფი დრო და დრო გონებასა ჰკარგავს და ჰბოდავს. ტამბოვის ეპისკოპოსი კირილე აქეთ მოემგზავრება.

10 ს. და 5 წამზე ტოლსტოის ოყნა გაუკეთეს. სიცხემ 37,8 გრადუსამდე დაიწია. მდგომარეობა გაუმჯობესდა. მაჯა ნელა უცემს, სუნთქვა—მშვიდი აქვს.

4 ნოემბერი ტოლსტოიმ პეტერბურგის მიტროპოლიტ ანტონისაგან დეპეშა მიიღო.

**სევასტოპოლი.** თოვლის ბარდნამ ტელეგრაფისა და ტელეფონის ბევრი მავთულები დაწყვიტა. ორ დღეს ტელეგრაფი აღარ მუშაობდა. ზღვაზე ქარიშხალია.

**ირკუტსკი.** ყაზანის ტაძრის მძარცველები იპოვნეს. მოპარული ფილონი, 29 ნაწილად დაჭრილი, ჩემოდანში აღმოაჩნდათ. ოქრომჭედელთან აღმოაჩინეს 8 გირვანქა გადამდნარი ვერცხლი, ალბად ნაპარევი საეკლესიო ჭურჭლისა და ჯვარისა.

**ვიტებსკი.** პოლოცკში ღამით ეფროსინეს დედათა მონასტრის ფიცრული შენობა დაიწვა, სადაც 60 მონაზონი სცხოვრობდა. სამი მონაზონი ვეღარ იპოვნეს.

**სარატოვი.** ფსიხიატრიულ სამკურნალოში ერთბაშად ხოლერით გახდა ავად 6, ექვსივე გარდაიცვალა.

**პეტროზავოდსკი.** გადაიწვა სახალხო სახლი, საჩაიე და სასულიერო უწყების სახლი.

**ჩისტოპოლი.** 7 გრადუსი ყინვაა.

**ვორონეჟი.** სამხედრო სასამართლომ 79 გლეხის საქმე გაარჩია. მათ შეიარაღებულ აჯანყების მოსახდენად სოც. რევოლ. პარტიაში შესვლა ბრალდებოდათ. 1—ხუთის წლის კატორღა გადაუწყვიტეს 18—4 წლის კატორღა. 1—სამის წლით ციხე, 3—სამუდამო დასახლება, 54 გაამართლა.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო საბჭოს კომისიამ განიხილა კანონ-პროექტი, რომელიც სასულიერო პირთა სასულიერო წოდებიდან გამოსვლის მერე უფლებათა დაკარგვის გაუქმებას ეხება. კომისიამ საჭიროდ დაინახა თავის დასკვნათა გადასინჯვა და პროექტის უკან წაღება მოითხოვა.

**ვლადიმირი.** ოთხი ტუსაღი გაქცევას აპირებდა. 3 მოჰკლეს, 1 დასჭრეს.

**ოდესსა.** ძლიერ ქარიშხალის გამო, მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ ხერსონისა, ნიკოლაევისა, ოჩაკოვისა, მარიუპოლისა და აკკერმანისაკენ გემები არ გაემართნენ.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო საბჭოს ფინანსიურმა კომისიამ, ფინანსთა მინისტრის წინადადებისამებრ, დაადგინა, რომ საკრედიტო დაწესებულებანი მოვალენი არ იყვნენ გარდასახადთა ინსპენქტორებს თავის დაწესებულების თანხისა და კლიენტების შესახებ ცნობები მისცენ ხოლმე.

**სუხუმი.** საგანგებო საბჭომ სასურველად სცნო, რომ სოხუმის ოლქში მევენახეობისა და ღვინის დაყენების კომიტეტი დაარსონ.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო საბჭომ უარჰყო სათათბიროს მიერ მოწონებული კანონ-პროექტი, რომ იმპერიაში სტატისტიკური განყოფილება დაარსებულიყო.

**კიევი.** სამხედრო კომისიამ, როდესაც ჯარის იმ ბელლს ათვალიერებდნენ, რომლის ზედამხედველმა ლინჩევსკიმ თავი მოიკლა, საიდუმლო სარდაფი აღმოაჩინა, რომელიც სავსე იყო მაუდით, ტილოებით, ჩექმებით, ხელსახოცებით და სხ. ყველა ეს ჯარის ბელლიდან ნაპარევი და გადამალული ყოფილა. საწყობი დაბეჭდეს. უფროსი ვახტერი დააპატიმრეს.

**მოსკოვი.** საოლქო სასამართლომ ნაფიც ვექილს იაკულოვს სამის დღით დაპატიმრება მიუსაჯა, რადგანაც მან საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგი სალოვი დუელში გამოიწვია.

მაძებარმა პოლიციამ ბერ-მონაზონ ანატოლის მკვლელნი და მათი თანამოზიარენი აღმოაჩინა.

**პეტროკოვი.** კაცის მკვლელი ბერი მაცოხი ავსტრიის მთავრობამ შეიპყრო, რუსეთის მთავრობას გადმოსცა და ეხლა პეტროკოვის სატუსაღოში ჩაამწყვდიეს.

# ახალი ამბები

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **ქ. შ. წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში.** 4 ნოემბერს ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების მთავარ გამგეობის წევრთა მორიგი კრება მოჰხდა. რამდენიმე წვრილმან საქმეთა განხილვის შემდეგ გამგეობამ მსჯელობა იქონია იმის შესახებ, რომ საზოგადოების სკოლებისთვის დანიშნულ იქმნეს ერთი მუდმივი ინსპექტორი ფასით. გამგეობამ ეს აზრი პრინციპიალურად მოიწონა და დაადგინა საკითხი განსახილველად წარუდგინოს საზოგადოების მომავალ საერთო კრებას; მანამდე კი სთხოვოს გამგეობის წევრს ალ. მდივანს, დროებით შეასრულოს სკოლების ინსპექტორის მოვალეობა.

✦ **მღვდლის დაჭრა.** როგორც გვწერენ, 4 ნოემბერს, გორიდან 4 ვერსტის მოშორებით, ორი უცნობი თავს დასცემია სოფელ მეტეხის მღვდელ ბაიდაშვილს და რევოლვერით მძიმედ დაუჭრიათ. უცნობთ დამალვა მოუსწრიათ. ბოროტმოქმედების ადგილას მაზრის უფროსი წასულა. როგორც ამბობენ, მღვდელზე თავდასხმის მიზეზი პირადი შურის ძიების ნაყოფია.

✦ **შეკითხვა კავკასიის ნამესტნიკს.** სახელმწიფო სათათბიროს ოპოზიციას გადაუწყვეტია, სახელმწიფო სათათბიროში შეიტანოს შეკითხვა კავკასიის ნამესტნიკისადმი თერგის ოლქის ადმინისტრაციის მიერ ყაჩაღის ზელიმხანის გულისთვის ინგუშების წინააღმდეგ სასტიკ ზომების მიღების გამო.

✦ **ყუმბარების საწყობი ერევნის ციხეში.** 3 ნოემბერს ერევნის ციხეში დამზადებულ ყუმბარების საწყობი აღმოაჩინეს. როგორც ეტყობა, მზადდებოდა ტუსაღთა გაქცევა.

✦ **შუამდგომლობის უარყოფა.** ამას წინად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მთავარმა გამგეობამ ქუთაისის გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრა გურიის სოფლებში ნანეიშვილისეულსა, ერკეთსა და ზემო თავსურეთში უფასო ბიბლიოთეკის გახსნის შესახებ. გუშინ მთავარმა გამგეობამ გუბერნატორისაგან პასუხი მიიღო, რომლითაც იგი შუამდგომლობას არ აკმაყოფილებს.

✦ **ტფ. სახალხო სახლის ბიბლიოთეკაში.** წარსულ ოქტომბრის განმავლობაში სახალხო სახლის ბიბლიოთეკაში წიგნებით უსარგებლნია 450 კაცს, აქედან 93 ყოფილა მოსწავლე, 12 მასწავლებელი, 5 ექიმი და სხვა. ბიბლიოთეკაში უსარგებლნიათ სულ 2779 წიგნით, სახლში ჰქონიათ წასაკითხად წაღებული 2747 წიგნი.

✦ **ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნები.** ამ დღეებში ხმოსანთა ერთს ჯგუფს კერძო თათბირი ჰქონდა. ხმოსნებმა დაადგინეს, წინადადება მისცენ საბჭოს, რომ ქალაქი არჩევნების დროს ოთხს საარჩევნო უბნად დაჰყონ. პირველს საარჩევნო უბანში შევლენ: 1, 2, 11 და 12 საპოლიციო უბანი, მეორეში: 3, 4 და 5, მესამეში: 8, 9, 10 და მეოთხეში: 6 და 7.

✦ **სახლის კედლის ჩამონგრევა.** 4 ნოემბერს, საღამოს $5\frac{1}{2}$ საათზე, მოედნის შესახვევში პაშაევის სახლის ერთი კედელი ჩამოინგრა და სასიკვდილოდ დაშავდა იქვე მდგომი ცოლ-ქმარი გოგორა და შოგაკატ მანუკოვები. მსუბუქად დაშავდა მოკლულთა შვილის-შვილი გეორქ მანუკოვი და მუშა ვართან ჯონიანცი.

✦ **სამეურნეო გამოფენა ტფილისში.** ბათომის სამეურნეო საზოგადოებას დაუდგენია, მომავალ წელს გამართოს ტფილისში სამეურნეო გამოფენა, რომლის გამართვაც განზრახული იყო ამ წლის ნოემბერში.

✦ **ტფ. ქალაქის სამხედრო საკრებულოში.** 4 ნოემბერს ქალაქის სამხედრო საკრებულომ სამხედ-სამსახურში მიიღო 7 ახალგაზრდა, რომელნიც წელს იყვნენ გაწვეულნი. ჯარში გაწვეულთა რიცხვი შევსებულია. აკლია მხოლოდ 12 კაცი, რომელნიც გასინჯვის შემდეგ მიღებულნი იქნენ, მაგრამ დაიმალნენ.

✦ **ჯარიმის შემცირება.** „ნოვაია რეჩ“-ის რედაქტორ-გამომცემელს პ. გოთუას კავკასიის ნამესტნიკმა 200 მანეთად შეუმცირა 500 მანეთი ჯარიმა, რომელიც გენერალ-გუბერნატორმა დაადო. თუ ჯარიმას არ გადაიხდის, ორის კვირით დააპატიმრებენ.

✦ **„განათლების“ საზოგადო კრება.** ხვალ, 7 ნოემბერს, დილის 11 საათზე, სამეურნეო ბანკის დარბაზში (სასახლის ქუჩა, ქართულ თეატრის პირდაპირ) „განათლების“. საზოგადოების საერთო კრებაა დანიშნული. კრებაზე არა წევრთაც შეუძლიან დასწრება.

✦ **„პრიკაზში“ დაგირავებული მამულები.** 26 ოქტომბერს მინისტრთა საბჭოს მოუწონებია და გადაუწყვეტია საკანონმდებლო დაწესებულებათ დასამტკიცებლად წარუდგინოს პროექტი იმის შესახებ, რომ 1911 წლის 1 იანვრიდან გაძლიერებულ იყოს თანხა და შედგენილობა ტფ. საგუბერნიო გამგეობისა, რომელმაც უნდა აწარმოოს ამიერ-კავკასიის ყოფილ „პრიკაზში“ დაგირავებულ მამულების გაყიდვის საქმე.

✦ **კახეთის რკინის გზა.** 4 ნოემბერს, დილით, პეტერბურგს გაემგზავრნენ ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილი, თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი და თავ. გ. პ. თუმანიშვილი. მათ წასვლას კავშირი აქვს კახეთის რკინის გზის გაყვანის საქმესთან.

✦ **უმაღლესი კურსები კავკასიის შესასწავლად.** დღეს, საღამოს 7 საათზე, ბირჟის დარბაზში, ა. გ. ტუმანსკი წაიკითხავს ლექციას შემდეგს თემაზე: „არაბული ენა და კავკასიის შესწავლა“. შესვლის ფასი—20 კ. მოსწავლეთათვის—10 კაპ.

✦ **ლექცია ბავშვთათვის.** კავკასიის სამკურნალო საზოგადოების თაოსნობით, კვირას, 7 ნოემბერს, ქ-ნი ე. ფ. ასათიანისა სახალხო სახლში ქართულად წაიკითხავს ბავშვთათვის ლექციას შემდეგს თემაზე: „ასპინძის ომი“. ლექცია დაიწყება დილის 11 საათზე და გასტანს ერთს საათს. ლექციაზე დასწრება ყველას უფასოდ შეუძლიათ.

✦ **სახალხო სახლში.** დღეს სახალხო სახლში ქართულად წარმოდგენილ იქმნება მოლიერის ცნობილი პიესა „ტარტიუფი ანუ მუზმუზელა“.

✦ **თავის მოკვლის განზრახვა.** 4 ნოემბერს თავის მოკვლის განზრახვით საწამლავი დალია ტფილისში მცხოვრებმა პეტრე შილიაევმა. მოწამლული მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს. მის მორჩენის იმედი არა აქვთ. ამავ დღეს საწამლავი დალია ალექსანდრე პოსლიჩენკომ, რომელიც მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს და სიკვდილს გადაარჩინეს.

✦ **ხოლერა.** 2 ნოემბერს ხოლერის ნიშნებით ავად გამხდარი მათე შეიკა ექიმებმა შეამოწმეს და აღმოჩნდა, რომ ის ხოლერით არ ყოფილა ავად.

✦ 3 ნოემბერს პოლიციამ ტფილისში შეიპყრა კარაპეტ არამიანცი რომელიც ადმინისტრატიულის წესით

---

# ნაკადული ვარ, ნაკადული...

(ნ ო ვ ე ლ ა)

(უძღვნი იასონს და სილოვ—ს.).

### ა.

რა ვუყოთ, რომ შეუმჩნევლად მივრაკრაკებ ბუჩქნარს შორის?.. რა ვუყოთ, რომ ჩემი დუდუნი მარტო ჩემს მწვანე ნაპირზე შორცხვად თავდახრილ ყვავილებს ესმის?.. განთიადისას იმათ ვუმღერ ჰანგს გაზაფხულისას, ჰანგს ტკბილს ხმიანს... საღამო ჟამსაც, როს შუქმფენი, მოქანცული, მზე ბნელში ინთქება, ოდეს დუმილის მკერდზე მიეძინება ბუნებას, როს ირგვლივ ყველაფერი სულს ნაბავს,—ყურს უგდებს რაღაც იდუმალ ხმას; ყურს უგდებს მოქანცულ მიწის ამოსუნთქვას, მაშინ მე, ვუმღერ ჩემს მარად ნაღვლიან სიმღერას, ვუმღერ ყვავილებს, მდუმარე ტყეს. ჩემი სიმღერა მარტო იმათ ესმით.

შემოდგომის საღამოს ფოთოლშემხმარი ტყე ნაღვლიანად იცრემლება. მე კი მოვრბივარ, მოვდუდუნებ, მოვსთქვამ კაეშანს, რომელიც შავ-თვალა ტყეს გულზე შემოსწოლია. მოვსთქვამ იმ იდუმალ კაეშანს, რომელიც თავდახრილ ფერმკრთალ ყვავილთა გულში დაგუბებულა.

ჩვეულებრივად **ის** ამ საღამოსაც იქ ნაპირზე მდუმარედ გაწოლილ ლოდზე ჩამომჯდარა... უყურებს, თუ, ვით იხატება ჩემს ვერცხლის ზვირთებში მისი სევდიანი სახე. ლიკლიკა ტალღები, რომელნიც განუწყვეტელის დუდუნით ერთმანეთს მისდევენ, მას ართობს, მას უყვარს, რადგანაც ის ტალღები სადღაც მიდის... მიისწრაფის და არ ბრუნდება.

ის ხომ მის სიცოცხლის წამებივით სადღაც მიდის—არ ბრუნდება. მწარეა ის წამები, მწარე, მაგრამ როგორც კი გაივლის და შორს, სივრცეში, დაიკარგება, მაშინვე ის შურიანად გაჰყურებს წარსულს. მაგრამ ტალღები ხომ არასოდეს არ ბრუნდება წარსულივით.

მე ხომ მთის გულ მკერდით გადმონახეთქი ნაკადი ვარ. მთის ცრემლები ვარ. მთა ყოველთვის სდუმს. მას ვერაფერი ვერ უთქვამს.

ის ყურს უგდებს ქვეყნის ამონაკვნესს. ესმის ყველაფერი, მაგრამ რა ჰქმნას?..

მის ამაყ მწვერვალთა ზეცა თუმცა ახლოსაა, ვერაფერს ვერ ეუბნება, გულში იგუბებს ბოღმას. ოჰ! ვის, ვის, ესმის მთის დუმილი?!.. შავი ნისლი გარს ეხვევა, ჰბურავს მის ამაყ თავს. ეხვევა, თითქოს არ უნდა რომ ზეცას აჩვენოს მისი მდუმარე, მხრისხანე სახე. ნისლი, შავი ნისლი გარს ეხვევა, რიდედ ეფარება მის მწვერვალს.

ისიც სდუმს... მთის დუმილი არავის ესმის. ყოფნის სევდა მას გულს უღრღნის მაგრამ სდუმს...

ოხ ვის ესმის მთის დუმილი?

იცით, მე როგორ გავჩნდი?.. ყური მიგდეთ... ამირანი, პიტალო თხემზე მიჯაჭვული ამირანი, ხომ ამაყი იყო. ის ქედს არავის არ უხრიდა. ამირანმა ლოცვა არ იცოდა. არასოდეს კვნესა არ აღმოხდებოდა მის გულიდან.

ნუ თუ არ ჰხედავდა ამირანი, თუ როგორ სცვივოდით ადამიანებს? ნუ თუ არ ესმოდა, თუ ვით კვნესოდნენ ისინი?

ნუ თუ ვერ ჰხედავდა, თუ ვით დაღოღავდნენ ისინი ნაპრალებს შორის... წყვდიადით მოცულ უსაზღვრო გზაზე. არ იცოდნენ გზა. სინათლე აკლდათ, სინათლე... უიმისოდ კი წყვდიადში იღუპებოდნენ. მას ყველაფერი ესმოდა, ის ყველაფერს ხედავდა...

დიახ, ამისთვის მოსტაცა მან ცეცხლი ზევსს, დიდებულ ზევსს. და ადამიანს, საცოდავ ადამიანს, გადასცა, რომ ჩირაღებისთვის მოეკიდებინათ, გზა გაენათებინათ,—უსაზღვრო გზა...

ზევსი განრისხდა თავ-ხედ ამირანზე. განრისხდა და, აი, იქ, პიტალო თხემზე, მიაკრა რკინის ცივ ჯაჭვით.

აი, სწორედ მაშინ მთა ყველაფერს ამას უყურებდა.

უყურებდა ამაყ ამირანის უხმო ტანჯვას.

მთას სიბრალულით გული გაუსქდა და მარგალიტი ცრემლები გადმოაფრქვია... ის იყო და ის. ცრემლები მე ვარ... იმ დღის შემდეგ, მთის გულ-მკერდზე გარდმოქცეული მოვრბივარ, მოვრბივარ და მოვუთხრობ მდუმარე ტყეს, ყვავილებს მთის იდუმალ კაეშანს...

რა ვუყოთ, რომ ჩემი სიმღერა მარტო ყვავილებსა და ბუჩქებს ესმით, რავუყოდ, რომ შეუმჩნევლად მოვრაკრაკებ ლიპლიპა კენჭებზე? ნაკადული ვარ, ნაკადული...

კ. ფირაშვილი.

# სიყვარული

(აღმოსავლეთის ლეგენდა)

საკიამუნმა დასტოვა სოფელი, ცოდვის სავანე და უდაბნოდ გაიჭრა, რომ იქ მაინც დაევიწყებინა ცხოვრების ამაოება. ის ცას შეჰყურებდა, ცად აღეპყრო თვალები, რადგან არ უნდოდა მიწის შეხედვა, რომელიც აგონებდა განვლილ ცხოვრების არარაობას. გიმალაის მწვერვალებიდან გამოჩნდებოდა, როგორც ცეცხლის ბირბალია, მომავალი მზე, დაჰხედავდა მიდამოს და ოქროს სხივებით მოქარგულს დიადემას დაადგამდა თავზე ღვთაებრივ განდეგილსა ტყუილად ელერსებოდა მას პირ-მცინარე მთვარე; განდეგილი, თითქოს მას ვერც კი ამჩნევდა, მდუმარებით იდგა საკიამუნი და მედიდურად სჭვრეტდა უკვდავებას და უახლოვდებოდა ნირვანას. ასე მიდიოდნენ მისი დღენი, გარინდებული, ლოცვაში გაქვავებული, იდგა განდეგილი და ლოცულობდა. მაგრამ ამ დროს განმავლობაში, მისი ცად აღპყრობილი ხელები გაქვავდა. მერცხლებმა ქვად მიიჩნიეს წმინდა განდეგილი და მის ხელებზედ ბუდე ააშენეს. გაზაფხულზე ისინი ესტუმრებოდნენ თავიანთ ბუდეს. მაგრამ ერთხელ გაფრინდნენ და არ მოსულან. და მხოლოდ მაშინ ის, რაც ეხლაც დაუჯერებელია, იმ განდეგილმა, ვინც ყველაფერი გადაივიწყა, ვისთვისაც არ არსებობდა არც სურვილი და არც ტანჯვა; იმ განდეგილმა, რომლის სიწმინდეს თვით ღმერთები შეჰნატროდნენ, ვერ დაინახა მოსული მერცხლები და მწარედ აქვითინდა. ამ ჟამად სტიროდა ის მერცხლებზე. ქვითინით მოსცეს ბანი მაღალმა მთებმა და განგის ტალღებიც მწარედ აქვითინდნენ.

### ეპიკსიხიდიონი

და როს დაუწყებ შენ იმას ძახილს, არ გიპასუხებს.

(იერ. VII, 27).

სული ცოდვილი, სული ცრემლებით განბანილი, ჭმუნვამ მოიცვა, უდროოდ დადგა შემოდგომა ჩემის ცხოვრებისა, უდროოდ გაჰქრა სიყვარულის მომხიბლავი, უცხო სიზმარი... ტრფობის ყვავილი, ყვავილი პირველი სიყვარულისა, რა მშვენიერი იყო და რა წარმტაცი!.. გადაიშალა ის განთიადზე. რას ვიფიქრებდი, თუ შუა ღამისას წავიღებდი ოხერ საფლავზე, მაგრამ ახლა ვინ დამიბრუნებს სიყვარულისა იმ პირველ დღეებს? შემოდგომაა. ცა სევდიანი ნაღველსა ანთხევს, ნისლი გაჰკვრია ცოდვილ ქვეყანას, შავი სიკვდილი ჩონჩხების ქნარზე დაძინებისას უმღერის ნანას, სთვლემს არე-მარე, ცრემლთა სავანე, ზღვა ცრემლებისა, სდუმს ვით სამარე მყუდროებისა. სულის სარკევ! დარჩი, ნუ მიხვალ, ამ მწუხარე ღამეს ნუ მიმატოვებ. სული ცოდვილი, სული ცრემლებით განბანილი, ცრემლად იღვრება, ვაგლახ! უშენოდ არ ესვენება. დარჩი, ნუ მიხვალ... ნუ თუ არ გესმის ხმა სევდიანი, შენ რომ გეძახის, შენ რომ მოგიხმობს? ნუ თუ არ გესმის ცრემლის ჩუხჩუხი გულის წიაღში? შენ ხარ დიდება, შენს, ლაწვზედა ჰკრთის ნარნარი სახე უკვდავებისა და სულის სარკევ! ნუ მიმატოვებ, დარჩი, ნუ მიხვალ, რისთვის მითხრი უდროოდ საფლავს?..

***

„არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოვლადვე მსგავსი“. ასე ღაღად ჰყო სიონზედ იელოვამ. მე კი შევქმენი კერპი განთიადისას და მწუხრისას მას ვსწირავდი, მხოლოდ მხურვალე ლოცვას, ვრწყავდი ცრემლებით, მას შევსწირე სულის უმანკოება და ის კი შეიქმნა მიზეზად ჩემის ტანჯვისა.

—„ოხ! საბრალოა გულუბრყვილო, ნაზი პეპელა, ლამპარს ეტრფოდეს, არ იცოდეს, რომ დაიწვება“ ფერფლად იქცევა, განადგურდება!..

— სტიროდეთ ყველა იმედ დანთქმულთათვის, სტიროდეთ ყველა ცოდვილთათვის, არა იყოს ღმერთნი უცხონი ჩვენსა გარეშე და მე კი შევქმენი კერპი. მან მომიწამლა სარწმუნოება, მან დამისერა გული მგზნებარე.

***

„კაცო! გიყვარდეს ცათ ჩამომძახეს, როს მათ დამბადეს“... და მეც მიყვარს, ამ ბნელშიაც გზას მინათებს ნათელი სხივი სიყვარულისა. მხოლოდ ის თუ დაამშვიდებს არსებობის მძიმე მაშფოთარ ტალღებს. ის თუ დაუამებს გულს დასერილს ტანჯვის იარებს. „კაცო გიყვარდეს! მაშ ცით რად მითხრეს, თუ კი ცოდვაა სიყვარული?

გადასახლებული იყო და თავის ნებით დაბრუნდა.

◆ 4 ნოემბერს ზოლიცამ ტფილისში შეიპყრა 23 უპასპორტო.

◆ 3 ნოემბერს თავის სახლის აივნიდან უცაბედად ძირს ჩამოვარდა ტფ. მცხოვრები თევდორე ისაკაძე და მძიმედ დაშავდა. იგი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს, მაგრამ გზაზე გარდაიცვალა.

# ქურდის თავზე ქუდი იწვის!

(მცირე შენიშვნა).

გაზეთ „საქმეში“ № 84, დაბეჭდილია წერილი (ბ. ღოღიასი), რომელიც შეეხება ქუთაისში გამართულ ილიას საღამოს და იქ ჩემ და სხვ. მიერ წარმოთქმულ ლექსებს. აზრი ამ წერილისა გამოიხატება იმაში, რომ ჩვენ, ნაციონალისტებმა, ილიას ხსოვნა, სახელი გავხადეთ ექსპლოატაციის საგნად, დავდევთ მის მოზარედ და ამით ხალხს ვაბრიყვებთ; დიაღ, ხალხს და არ ვიცით ჩვენ „უტიფართა“, რომ ერთ დროს ეს ხალხი ჩვენ გამოგვრეკავს „ტაძრიდან“, ქვა და გუნდას მოგვაყრის. ნეტავი „საქმეს“ და მის მესვეურთ მაშინ!.. ყოველი კაცი იმედით სცოცხლობს და ჩვენც, როგორც მოკვდავთ, ის იმედი გვასულდგმულებს, რომ „ხალხი“ „ნაციონალისტებისაკენ“ გადმოვა და იმათ კი, ვინც გზა კვალს ურევს, საბოლოოდ და დღეს დღეურად, გამოსადეგს არაფერს ასწავლის, ზურგს შეაქცევს. ამის ნიშნებს, ჩვენდა სასიხარულოდ, ვხედავთ დღეს; ისტორიული წარსული, ბუნება ქართველობისა გვაიმედებს, რომ ეს „ნაციონალიზმი“ მუდამ იქნება ჯან-საღი და არა-დროს იგი შოვინიზმად, ფანატიზმად არ გადიქცევა.

ჩვენდა სამწუხაროდ, „საქმეს“ ბანაკში სრულიად წინააღმდეგს ვხედავთ, ვხედავთ კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ მახინჯს, უჯიშოს, ფანატიზმით გამსჭვალულს, თავის თავის, თავის ერის უარმყოფელს, ხოლო სხვა ერების ვითომდა მფარველს და მოსიყვარულეს. ვაი ამისთანა სიყვარულს! სიყვარული ერთგვარი უნარია ცხოველთა ბუნებისა და მით უმეტეს, ადამიანისა, დიდი მადლი ბუნებისაგან მინიჭებული ადამიანისათვის. ხოლო, ვისაც თავისი მშობელი დედა არ უყვარს, იგი სხვას როგორ შეიყვარებს, სხვას როგორ მოეპყრობა, როგორც ნამდვილ დედას?.. არა მჯერა, არა მწამს და რა ვქნა! ამისთანა კოსმოპოლიტიზმი უფრო თავ-მომწონეობა, ყოყლოჩინობაა, მიმბაძველობით გამოწვეული, ერთხელ და ერთხელ დაჩემებულის ჭკუის ლიტინისა, ვიდრე ნამდვილი მიმართულება გულ-ღვიძლიდან ამომდინარე, და მასში ფესვებ გადგმული,—ეს მიმართულება ქარისაგან მონაბერია და უნდა ისევ ქარმა განფანტოს, განაბნიოს.

ან კი რას ვამბობ? განა ამაზე წერა და საუბარი შეიძლება ჭკუათა-მყოფელთა წინაშე? არა. დიაღ, არა, ვინაიდან იმათთვის ეს გაცვეთილი ჭეშმარიტებაა. მაგრამ რას იზამ, როდესაც კიდევ გხვდებიან ჩვენში ისეთი ადამიანები, რომელთაც უნდა უმტკიცო, ეფიცო ღმერთი და ჯვარი, რომ ორჯელ ორი ოთხია და არა ოცი და ორმოცი.

ამ საგანს თავი დავანებოთ და ეს ვიკითხოთ: თუ ჩვენ, ნაციონალისტებს, არა გვაქვს უფლება ვიტიროთ და ვიგლოვოთ ილია ჭავჭავაძე, მაშ ვისა აქვს ამის უფლება? ყვავს ბახალა მოუკვდა და ბუს მიუგდო: დიდი თავი გაქვს, შენ იტირეო! არა, ბატონო საქმისტებო, მართალია, დიდი თავი გაქვთ, მაგრამ ჩვენს მკვდარს თქვენს სატირლად არ გავხდით; ჩვენ მოვალენი ვართ თავისი მკვდარი ჩვენ თვითვე ვიტიროთ, მით უმეტეს, რომ ქართული ანდაზაც ამას გვიკარნახებს: „ყოველ მკვდარს შინ უნდა ჰყვანდეს მოტირალიო!“

ილია ჩვენ საკუთარ მიცვალებულად, დანაკლისად მიგვაჩნია და ვტირით კიდევაც, როგორც გვეხერხება, როგორც ვგრძნობთ და თუ გშურთ ჩვენთვის მოზარეობის მონოპოლია, ხვალ და ხვალ-ზევით ამ მონოპოლიას თქვენ დაგითმობთ. გაგვიხარდება, ხელ-ფეხს დაგიკოცნით.

თქვენ, ჩემო კარგებო, ის კი არა გწყინსთ, რომ მოზარეობა ილიასი მხოლოდ ჩვენ დავისაკუთრეთ და სხვას არავის ვაძლევთ იმის გლოვის ნებას, არა. რადგან ჯერ ერთი რო ეს ასე არ არის... თქვენ უფრო ის გიკლავთ გულს, ჩვენ ტრადიციად რად გადავაქციეთ ამ ადამიანის ხსენება. ეს გიკლავსთ გულს, ამას ვერ ინელებთ. რად? რისთვის? არ ვიცი, თქვენც ქართველები ხართ, ჩვენც. ჩვენი დანაკლისი თქვენ დაგაკლდებათ და თქვენი—ჩვენ. მაგრამ არა, რასაც ჩვენ დანალისად ვგრძნობთ, თქვენ ის შემატებად მიგაჩნიათ, და, აი, ეს არი მიზეზი ღოღიასი და კომპ. გამოლაშქრებისა ჩვენს წინააღმდეგ. დაფნის გვირგვინნი მილტიადისა არ გაძლევენ თქვენ მოჩვენებასა... ეს, რასაც მოგახსენებთ, ცილის წამებაა? არა!..

ჩვენ და თქვენ მკითხველი გაგვარჩევს, ცალ-ცალკე,—გვხედავს კიდევაც და როგორც გუშინ და გუშინ-წინ ტყუვდებოდა „საქმისტურის“ ხრიკებით დღეს იგი აღარა სტყუვდება. თქვენ ძმურად ერთს გირჩევთ, თუ შეიძლებთ, გაიგონებთ, დაირწმუნებთ: როცა ილია ჭავჭავაძეზე ან იწერება რამ, ან ითქმება, ან მის ხსოვნის პატივსაცემლად რამე დღესასწაული გაიმართება, რაც მეტს მდუმარებას გამოიჩენთ, ის გირჩევნიანთ, უფრო მოგებული იქნებით. მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენიო, ხომ გაგიგონიათ?.. მოითმინეთ, თორემ ხან და ხან ისეთ რაშეებს გამოურევთ თქვენ ნაწერ-ნალაპარაკევში, კაცი ეჭვში შეგყავთ, თავადვე არწმუნეხართ იმაში, რასაც კიდევ ეჭვის თვალით უცქერის, არ არის ჯერ ნამდვილად დარწმუნებული და ძალა-უნებურად ათქმევინებს: „ქურდს რომ ყური უგდოთ, დღეში ცხრაჯერ გამოტყდებაო“...

თქვენ არ უნდა გწყინდესთ კი, თუ ილიას სახელის დამცველნი ხართ, და ღირსეულად აფასებთ მას, არამედ ამისთანა დღესასწაულებში მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღოთ, რადგან თუ ექსპლუატაციაა ეს, როგორც თქვენა გგონიათ, მხოლოდ იმ აზრით, რომ შემოსული ფული მოეხმარდება ილიას საყვარელ საქმეს, მის აზრის განხორციელებას მაგრამ, რა ვქნა, რომ არა ვსთქვა, თქვენ არც ილიას აზრების გამარჯვება გენატრებათ და არც მისი სახელის განდიდება. თქვენ გინდათ, როგორც ხორციელად ავაზაკივით მოკვდა იგი შარა გზაზედ, იდეურადაც მომკვდარიყო. არ მოხდა ასე, რა გნებავთ? რა ღობე-ყორეს ედებით, როგორ გინდათ მოსპოთ ის, რასაც თვით ცხოვრება, ბუნება არა ჰსპობს: საცაა თოვლი მოვა, ზამთარი დადგება, იმას გაზაფხული მოჰყვება; დღეს ღამე ჰსდევს, ღამეს—დღე, თავის წესზე თქვენს ნებაზე ვერც დააღამებთ, ვერც გაათენებთ... რად გეჯავრებათ ჩვენის ერის განთიადი?

დიაღ, ჩვენ განთიადად მიგვაჩნია, როცა ერი თავის ღირსეულ შვილებს აფასებს ღირსეულად. ვგონებ თქვენს ბანაკშიაც მოიპოვებიან იდეიურ ნიადაგზე წამებულნი, თქვენც დააწესეთ მათ პატივსაცემლად დღესასწაული, ვინ გიშლისთ? თუ ჩვენ ილიას სახელით ვესწრაფვით განვამტკიცოთ თქვენგან ათვალ-წუნებული „ნაციონალიზმი“, თქვენც ეცადეთ თქვენის წამებულების სახელის საშუალებით განამტკიცოთ თქვენი საყვარელი, სატრფიალო „ინტერნაციონალიზმი“. იქნება ერმა თქვენდამი უფრო მეტი თანაგრძნობა გამოიჩინოს? არა გაქვთ იმედი? რატომ? ალბად იმიტომ, რომ ერი უარ-გყოფსთ, როგორც თქვენ უარჰყავით იგი და ჩვენც გვემუქრებით, „ხალხი გამოგრეკავთ ერთხელაც იქნება, როგორც იესომ ვაჭრები გამოდევნა ტაძრიდან“. თანახმა ვართ. სოლო ვიდრე ამას მოვესწრებით, ჩვენ მაინც ჩვენს სამსახურს არ მოვაკლებთ ამ ერს. თქვენც იმედი გქონდეთ, იხარებდით და იშვებდით, რომ წინასწარმეტყველება თქვენი ასრულდება და ჩვენ, ექსორია ქმნილნი, ვიგონებთ ჩვენს დამარცხებას და თქვენი მუქარა მართლა მუქარად გამოდგება და არა ყვავებისა და ჩიტების საფრთხობელად.

**ვაჟა-ფშაველა.**

---

ოხ! არა, არა, შორს ჩემგან ეშმაკო სათანაელო, შორს ჩემგან ბოროტებისაგან ღელვილო სულო! აწ თვით მევე ვარ, მეუფე ჟამისა, აღარ მაშინებს ჩონჩხების ქნარზე სიკვდილის მღერა. სულს ცრემლით ნაბანს სხვა ქვეყნისკენ იწვევს მცნება, თუმც მოვიქანცე ალთქმის ქვეყანაც ჯერედ შორს არის და გზაც, ვით აფთართ კვალი ხეობაში, ჩვენის ძვლებითა არის ნაფენი, მაგრამ მივყვები თან ოცნებას, სანამ არ მოესმის გულს დატანჯულს ჰანგი სალხენი!..,

* * *

ღამეა, ჩემ სულშიც ბნელა დაუსრულებლივ, ვით შემოდგომისა უდრან ტყეში. მცივა, ვკანკალებ! ოხ! ვის ესმის, ვის ეს ჩემი ბოდვა? ოთახში სანათი ძლივს ბჟუტავს. ცოდვილთა სულებივით დაფარფატეევენ ხნივნი კედელზე და უმისოდაც ნაღვლიან სადგურს უფრო საშიშარ ელფერსა სდებენ. ქარიშხალი არ ისვენებს, მწუხარებით ფრთას სცემს ფანჯარას, თითქოს მეხვეწებოდეს სახლში შეშვებას: „შემიშვით სახლში, მეც მცივა, მეც მინდა გავთბე, განა გგონიათ ჩემთვის სიცივე არ არსებობს?“ მაგრამ ვერას გააწყობს და უკან ბრუნდება. გაჰკივის ველურ მღლოდას შემოდგომისას და სევდიანად მღერის თავის მუდამ ხეტიალზე, არხევს რა ხეების გამხმარ ტოტებს, თითქოს უნდა გამოიტიროს ურვა ქვეყნიურ არსებობისაო. ტალღას ტალღას სცემს რიონი და მწუხარედ დუდუნებს, ალბად სევდა შემოსწოლია, ვერვისთვის უნდვია და იმისათვის არის, რომ გულ-ჩახვეული ჩუმად მოსთქვამს, ვინ იცის იქნებ ის სულ სხვას იგონებს, იქნებ ესმოდეს კიდეც ამირანის კვნესა და ან მედიას მწუხარე სიმღერა, იქნებ დასტიროდეს ქართლოსის ჩანგს უღვთოდ დამსხვრეულს, მახინჯ შვილთაგან დავიწყებულსა, ბევრი რამ იცის რიონმა „მრავალ დროების მოწამე, მაგრამ უტყვია“, უტყვი. ბაგრატის ტაძრის ნანგრევები, გოლიათებივით ამართულ ბნელში და ცას შესჩივიან უმწეობასა.

ქარი ქვითინებს. სცვივა ფოთოლი, საშინლად სტირიან გატიტვლებული ხენი და გულს უფრო აღონებენ. უსაზღვროა მათი ტანჯვა და გულსაკლავი—მათი მოთქმა. წინ მარკოს ვარელიუსის დღიური მიდევს და ვკითხულობ, მაგრამ ფიქრები, შავ სევდიან ფიქრთა გრეხილი, დროის ხვრელიდან ამომძვრალი და მომსკდარი ჟამის, ნიაღვარის ვერ შემიწყვეტია... „ყოველთვის უყურებდე თავს, როგორც მკვდარისასა. ერთის წუთის შემდეგ შენ შეიქმნები ერთი მუჭა ფერფლი, ჩონჩხი, ან და სახელი, მაგრამ სახელიც მალე გაჰქრება, როგორც ხმაურობა, როგორც გამოძახილი“. ოხ! ღმერთო ჩემო, რას არ იფიქრებს კაცი!.. წამოვიძახე და ლოცვა კურთხევა შევუთვალე ფილოსოფოს იმპერატორს, რომლის, შესაძლებელია, ეხლა არც ფერფლი იყოს. განა შეიძლება ასე სიკვდილზედ ლაპარაკი ...რომ არ მესვენება, ძილიც გამირბის თითქოს ენანება ცოტა ხნით მაინც ამ ჯოჯოხეთურ გენიის ჩაქრობა.

— სულის სარკევ, დარჩი, ნუ მიხვალ, ყურად იღე ჩემი ხვეწნა. ნუ უგულებელჰყოფ ჩემს ვედრებას... ბნელში ვიშვევი, ბნელში ვცხოვრობდი... ვაგლახ, რომ ბნელში მელება ბოლო. არყოფნის ღამე ჰაერს მოარხევს, ჯოჯოხეთშიაც ჩამოკვრენ ზარებს და წყეული სატანაც ეწვევა სოფელს. ვინ მანუგეშოს, ვინ მცეს ნუგეში ამ სევდიან და მწუხარე ღამეში?...

**ტ. ტაბიძე.**

---

# ორიოდე სიტყვა „განათლების“ საზოგადოებასა და მის სასწავლებელზე.

ჩვენი საქმეები ისე უხერხულად და უკუღმართად მიდის, ისე ყველას გულგრილობა ეტყობა, ისე ყველას ხელები ჩამოუშვია, რომ თითქოს ჩვენში არაფერი კეთდებოდეს. მაგრამ თუ დავაკვირდებით, ვნახავთ ცოტა ოდენს გულის დასამშვიდებელ საქმეებს. სხვათა შორის, მინდა ორიოდე სიტყვით მოვიხსენიო ჩვენი საზოგადოება „განათლება“ და მისი სასწავლებელი. მართალია, ეს პატარა საზოგადოება ცაში ვარსკვლავებს არ ეჯიდება, მაგრამ განსაზღვრული აქვს თავის სასწავლებლის პროგრამმა და, როგორც ეტყობა, სცდილობს ჯერ ამ ერთის საქმის საფუძვლიანად დაყენებას. რადგან კვირას, დილის 11 საათზე დანიშნულია ამ საზოგადოების წლიური კრება (სამეურნეო ბანკში), აღვნიშნავთ არა ერთხელ მოყვანილს ამ სასწავლებლის მიზანს: უნდა მიეცეთ ღარიბ ოჯახის ქალიშვილებს პროგიმნაზიული (ოთხი კლასის) სწავლა, სწავლის ფასი, შედარებით სახელმწიფო პროგიმნაზიებისა, წელიწადში მხოლოდ ნახევარია—30 მ. პროგიმნაზიელ კურს დამთავრებულ მოწაფეებს შეუძლიანთ შევიდნენ: 1) გიმნაზიის მეხუთე კლასში, 2) საპებიო ინსტიტუტში, ფერშლეობისა და ბუჰგალტერიის კურსებზე და სხვა ამგვარ სპეციალურ სასწავლებლებში, 3) დარჩნენ თვით საზოგადოების სასწავლებელში, სადაც პროფესიული ხელობა იქნება შემოღებული.

ამ ჟამად საზოგადოების გამგეობა, როგორც ამბობენ, სცდილობს სამაგალითოდ დააყენოს ქართული ენა, სამშობლო ისტორია, გეოგრაფია შეასწავლოს და დიდი ყურადღება მიაქციოს ხელსაქმეს.

საზოგადოება „განათლება“, როგორც გვიგეთ, წევრებით მდიდარი არ არის, თუმცა საწევრო ფული მხოლოდ 2 მანეთია წელიწადში. ამიტომ ჩვენი საზოგადოება ვისურვებთ, რომ კვირას ბლომად დაესწროს და თავისი მჯავრი დასდოს ამ პატარა, მაგრამ დიდად სასარგებლო საქმეს.

**ვინმე.**

# ვიქტორ ღოღელიანის ხსოვნას

1909 წ. 12 აგვის. ქ. კემში (არხანგელის გუბერნია) ძალზე სუსტი და გამხდარი ეტაპით ჩამოიყვანეს ვ. ღოღელიანი. მოსვლისათანავე შემოვიდა ჩემს ოთახში და გავეცანით ერთმანეთს. მიამბო ციხეების რეჟიმი, გაჭირვება, შიმშილი, რომელიც გამოიარა მას გზაში. მეორე დღეს ოთახი ვიშოვეთ და იქ გადვიდა; მითხრა: მეტის-მეტად ნერვები აშლილი მაქვს და სხვასთან არ შემიძლიან დადგომაო. ყოველ დღე და ღამ ერთად ვიყავით, ამ ადამიანის სიტყვა-პასუხმა, კაცთ-მოყვარეობამ, ანდამატურმა მიმზიდველობამ დიდი გავლენა იქონია ჩემზე. ისე შეგვიყვარდა ერთმანეთი, რომ თავზე გვერჩია. რამოდენიმე ხნის შემდეგ, ვიქტორი ჩემთან გადმოვიდა და მოვთავსდით ერთს ოთახში. აი, ამ დღიდან იწყება უფრო ჩვენი მჭიდრო კავშირი. აქ იგი გაეცნო გადმოსახლებულებს, გაეცნო იქაურ ხალხს და იწყო განათლებისათვის გულ-მოდგრად მუშაობა.

ვიქტორის გავლენით და წ. კ. გ. ს. შემწეობით ორმა ამხანაგმა გამოვიწერეთ ქართული ლიტერატურული ნაწარმოებნი, რომლითაც ვმეცადინეობდით ყოველ საღამოს ქართველთა შორის. ხუთს თვეში მთელი ლიტერატურა გავიარეთ. მახსოვს, ვიქტორი იტყოდა ხოლმე: კაცმა ჯერ უნდა შეისწავლოს თავისი ენა, ლიტერატურა, ისტორია და მერე სხვას უნდა ეცადოსო.

ვიქტორი მხურვალე ესპერანტისტი იყო, მოსვლისთანავე მან დაიწყო ესპერანტოს გავრცელება, მის აუცილებელ საჭიროებაზე ლაპარაკი; დაარსა ჯგუფები ესპერანტისტებისა, იწყო მუშაობა. მცირე ხანში ესპერანტისტების რიცხვი გამრავლდა, ასწავლიდა სხვა და სხვა სამეცნიერო საგნებსა, უხსნიდა, არიგებდა ყველას. უქმე დღეებში გველაპარაკებოდა რუს ემიგრანტებზე, კროპოტკინსა, ბაკუნინსა და სხვაზე. 1908 წ. მეტეხის ციხეში არეულობის დროს, ფეხში დაჭრილ იქმნა. სუსტი, ავადმყოფი ადამიანი მეცადინეობდა გადასახლებულებთან მთელი 14 ს. დღეში!

ვიქტორი პროფესიით ქიმიკოსი იყო. სწავლობდა ჟენევის უნივერსიტეტში. მან შემასწავლა ესპერანტო, მან გამიკაფა ეკლიანი გზა, იგი გამიძღვა წინ და დამაყენა სიმართლის გზაზე. ვიქტორს დიდად უყვარდა საქართველო, მისი დაჩაგრული ერი, მისი ბუნება. მან ესპერანტოს ენაზე გადათარგმნა „ღალატი“ სუმბათაშვილისა, რომელიც მომავალში უნდა გამოეცა; ამით უნდოდა გაეცნო ქვეყნიერებისათვის საქართველო. მსოფლიო ესპერანტისტთა კრებაზე იმანაც დრეზდენში, მიიღო მონაწილეობა. პერმში ყოფნის დროს, მან დაიწყო შ. რუსთაველის „ვეფხის ტყაოსნის“ თარგმნა ესპერანტოს ენაზე.

მომავალშიც დიდს რამეს გვპირდებოდა. მე განმანთავისუფლეს და ვიქტორი საოპერაციოდ გადაიყვანეს პეტერბურგში. აი, ამ დღიდან იწყება ჩვენი ერთმანეთის სამუდამოდ უნახაობა. ულმერთო სიკვდილმა მოგვტაცა. ჯერ კიდევ ნორჩი ყმაწვილი დაადუმა საუკუნოდ მისი ბაგენი. ერთი შეგნებული, პატიოსანი ადამიანი დააკლდა ჩვენს საქართველოს, წავიდა იმ ქვეყანად, სადაც არ არს მწუხარებად ტირილი. ჩემო საყვარელო ძმაო, მუხლმოდრეკით ვეამბორები შენს წმინდა ცხედარს და გაძლევ სიტყვას, რომ ვიარო შენ მიერ გაკაფულის გზით. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი ჩვენს შორის, დაუვიწყარო მეგობარო!

**ი. გაწერელიძე.**

# „მასწავლებელს“

(წერ. რედ. მიმ.)

წავიკითხე თქვენი „მცირე შენიშვნა“ ბ. მასწავლებელო, რომელიც მოთავსებულია გაზ. „საქმის“ მე-31 ნომერში და სიამოვნებით გეთანხმები, მაგრამ თავის გასამართლებლად მოგახსენებთ შემდეგს: მე ვიცნობ ვ. ბიბილეიშვილს, როგორც მაღლაკის სკოლის მასწავლებელს და ისიც ვიცი, რომ ერთად სხვა პირებთან მან შრომა გასწია ხსენებულის ახალ სკოლის დაარსებაში, რის გამო კორესპონდენციაში მოვიხსენიე ისიც. ხოლო რაც შეეხება იმას, თუ რომელი მეთოდით ასწავლის იგი, ან როგორ ასრულებს 81 წლის სამოსწავლო გეგმას თავისს სკოლაში ოთხ კედელ შუა, ეს კი არ ვიცი და არც მახსოვს, თუ რა მეწერა იმის შესახებ „სახალხო გაზეთში“, ალბად გამომრჩა იმ ნომრის წაკითხვა, და რადგან თქვენ კარგადაც გცოდნიათ მისი ამბავი,—მაცნობეთ, ამისათვის მადლობას გიძღვნით; აწ მე შემიძლია თამამად ვუსაყვედურო მას, თუ ის 81 წლის სამოსწავლო გეგმის მაგიერ ისევ მუნჯურის მეთოდით მოღვაწეობს თავის სკოლაში.

როგორც ამას წინად ვსწერდი, ამა წლის „სახ. გაზეთის“ მე 3 ნომერში, 81 წლის სამოსწავლო გეგმა ჯერ კიდევ ნება დართულია კავკასიის ნამესტნიკის მიერ; ადგილობრივ სამოსწავლო მთავრობას არა აქვს უფლება ძალა დაატანოს რომელსამე მასწავლებელს და 97 პროგრამით ამეცადინოს. რომელი მასწავლებელიც ამას არ ასრულებს და ისევ მუნჯური მეთოდით და 97 წლის პროგრამით აწვალებს ბავშვებს,—ის ჭეშმარიტად შერცხვენისა და დაგმობის ღირსია.

**ლადო ბზვანელი.**

# გახსენება

(ექსკურსანტ სახალხო მასწავლებლებს)

ამა წლის „სახალხო გაზეთის“ მე-72 ნომერში დაიბეჭდა ჩემი წერილი სახალხო მასწავლებელთა საყურადღებოდ, რომელშიაც მე გამოვსთქვი ჩემი აზრი, თუ რას მოხმარებოდა ის 9 მან. და 72 კ., რომელიც წარსულ ზაფხულში ახალ ათონში საექსკურსიოდ ყოფილ მასწავლებლებს ჩაბარებოდათ და ინახებოდა ექსკურსიის ხელმძღვანელის ქუთ. პირველ საქალაქო სკოლის მასწავლებლის ღ. ნიკონოვის ხელში. ბ-მა ნიკონოვმა Кут. Лист.—ის მე-98 ნომერში გამოაცხადა ანგარიში და სთხოვა მასწავლებლებს, ეჩვენებინათ იმისთვის, თუ ვისთვის გადაეცა ეს ფულები. ჩემს წერილში მე ნაჩვენები მქონდა და ის ვსთქვი, რომ ეს ფულები ბ. ნიკონოვს გადაეცა მასწავლებლების სახელით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის, განყოფილებისათვის, რაზედაც ჩემის აზრით მასწავლებლები თანახმა გახდებოდნენ. აკვისტოს დამლევს ბ. ნიკონოვი ქ. ანაპაში გადავიდა, რადგან იქ მისცემს საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორობა და ეს ფულები მან, როგორც ვიცი, გადასცა პირველ რაიონის ინსპექტორს. „Кут. Лист.“-შიაც კი მოვათავსე ამის შესახებ მე მაშინ წერილი, რათა წაეკითხათ, როგორც ნიკონოვს, ისე ინსპექტორს, მოესმინა აგრეთვე სხვა მასწავლებელთა აზრიც და გადაეცა ეს ფულები დანიშნულებისამებრ. გავიდა აგერ სამი თვე და არავის კრინტიც არ დაუძრავს ამის შესახებ. აი კიდევ ერთი დასამტკიცებელი საბუთი იმისი, თუ ჩვენ, სახალხო მასწავლებელნი, საქმეს როგორ ვუყურებთ და როგორ ვაქცევთ ყურადღებას. აქ საჭიროა ხმის ამოღება, თუ რას მოხმარდეს ეს ორიოდე გროში; შეიძლება რომელიმემ ისურვოს თავისი წილის მიღება, მაშინ ერგება 18 კ.

**ლადო ბზვანელი.**

# მოწერილი ამბავი

ს. რუისი. (გორის მაზრა) წელს ჩვენს სოფელში ქერნახულის მოსავალი საშუალოზედ ნაკლები იყო; ღვინისა-კი ძალიან ცუდი, ხილი ხილის მოსავალი ძალიან კარგი. ვენახების გაფუჭებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ეს უკანასკნელი ორი წელიწადია, მომეტებული ნაწილი ჩვენი გლეხობისა ვენახებს ადარა სწამლავს შაბიამნით და აგი იმიტომაც წელს ღვინო მოუვიდათ მარტო იმათ, ვინც დროზედ და კარგად უწამლა თავის ვენახს. საკვირველი ჯიუტი და ურწმუნო არის ჩვენი გლეხ-კაცი,—რაც გინდა ცხადად ჰხედავდეს შეწამვლის სარგებლობას, მაინც კიდევ არ არის დარწმუნებული და თავისებურად გიპასუხებს კითხვაზედ, ვენახები იმიტომ გაფუჭდა, რომ „ჭვარმა დაჰკრაო“. განა მარტო ვენახების წამლობაზედ არის ასეთი ურწმუნო ჩვენი გლეხ-კაცი?—თვით თავის თავის ავადმყოფობაზედ.—ჯერ გამოსცდის „მკითხავს“, მერე სოფლის დედაკაც-ექიმებს და როდესაც ძალიან გაუჭირდება, მაშინ მოსძებნის ნამდვილ ექიმს, მომეტებულ შემთხვევაში იმ დროს, როდესაც შველა შეუძლებელი ხდება. როგორც ზევით მოგახსენეთ, წელს ძალიან კარგი მოსავალი იყო ხილისა, განსაკუთრებით ვაშლისა, რომელიც აქ საუკეთესო თავისებისა არის, მიუხედავად იმისა, რომ სულ 70 ვერსის მანძილზედ არის ჩვენი სოფელი ტფილისიდან და თითქმის რკინის გზაზედ მდებარეობს (სამი ვერსი), მაინც აქაური მოსავალი ხდება ხვედრად აქაური ან მოსულ ხარბ სომხებისა, რომლებიც ხილის ფასად ჰყიდულობენ, თვითონვე პატრონს მიატანინებენ რკინის გზის სადგურზედ და ამნაირად ატყუებენ ქართველ გლეხს, თუ აბადია რამე. შემთხვევა აქაურ ახლო-მახლო სოფლებს ერთი ხილის მყიდავი ქალაქელი სომეხი, მთელი ზაფხული დადის ერთ სოფლიდან მეორეში, არიგებს წინა დღით ფულს და შემოდგომაზედ მიაქვს სუსარებელი ხილი, ისე კი, რომ სულ არ დასიგავს ფუთ ვაშლს 25-30 კაპიკად. ერთმა სახეშენელმა გლეხმა მითხრა, რომ ფუთი 15 კაპ. დაუჯდა ჩემი ხილიო. არაფერს გიტყვი ჩვენის სოფლის ხარბებზედ, რომლებიც ხელთ აქვთ მთელი სოფლის მოსავალი, და აგი იმიტომაც უმტკენენ ახალ-ახალ კოხტა შენობებს, ქართველების მიერ გაყიდულ ადგილებზე და გრამითვალის დაკვრით უტკბობენ სმენას გაუბედურებულ ქართველ გლეხს. ეს ასე დაც იქნება, სანამ ჩვენი გლეხები შეიგნებენ თავიანთ უბედურებას ერთი მეორეს და დახმარების მაგიერ, ერთმანეთის წახდენას ლამობენ. შედგენა რამე ამხანაგობისა, რომ ურთი-ერთის დახმარებით გაიტანონ ბაზარზედ თავისი ნაშრომი, ჩვენის სოფლისათვის ჯერ

იხვე ოცნებაა; ჩვენმა გლეხმა ჩარჩის მეტი მოვაჭრე არ იცის.

შარშან შემოდგომაზედ აღიძრა კითხვა აქაურ ერთ კლასიან სკოლის ორკლასიანად გადაკეთებაზედ, მაგრამ ჯერ არაფერი გაკეთებულა. როგორც გადმოგცემს, ლირექცია მზად არის გადააკეთოს ორკლასიანად, მხოლოდ ხალხის მიერ უნდა იყოს განაჩენით ნათხოვნი. ხალხი შიშობს, ვაი თუ ხარჯი ბარჯი ბევრი მოგვემატოსო, მაგრამ სრულიად უსაფუძვლოდ,—ბაგდენი არაფერი ხარჯი მოუვა სოფელს. გადაკეთება ორკლასიანად აუცილებელია ჯერ იმიტომ, რომ მოსწავლეთა რიცხვი ყოველ წელს ერთი ორად მატულობს და ბევრი რჩება კარედ უადგილობის გამო. შარშან რომ აღიძრა კითხვა სკოლის გადაკეთებაზედ, აქაურმა მემამულემ გაბო მამაცაშვილმა საჩუქრად აღუთქვა ორი დესეტინა მიწა ბაღისთვის და იმედია აასრულებს კიდეც დაპირებას, თუ ხალხმა მოიწადინა და მისცა თხოვნა გადაკეთებაზედ. ეხლა საქმე მარტო ჩვენ შესმენილ პირებზედ არის დამოკიდებული. სამკითხველოს საქმე შარშანდელზე უკეთ არის, მასწავლებლისა და აქაურ ზოგიერთ ინტელიგენტის მეოხებით. აქაური ინტელიგენტები რომ მოგახსენეთ, მე მარტო აქვე მცხოვრებნი ვიგულისხმე, თორემ იცოცხლეთ, ძალიან ბევრი ინტელიგენტი ჰყავდეს ჩვენს სოფელს, მხოლოდ აქა-იქ ქალაქებში გახიზნული და მოშეტებული ნაწილი სამსახურში, მაგრამ იმათგან იმდენი სარგებლობა აქვს ჩვენ სოფელს რამდენიც ჩინელებისაგან; არ ჩავთვლი ერთ-ორს, რომლებიც ორსამ მანეთს მაინც უგზავნიან წელიწადში ჩვენს სამკითხველოს. მგონია, რომ შეეძლოთ-კი რამე დახმარება აღმოეჩინათ ჩვენის დარიბის სკოლისა და სამკითხველოსთვის, საზოგადოდ სოფლისთვის. ვიმეორებ იმდენი ინტელიგენცია ჰყავს ჩვენს სოფელს, რომ ძნელად იპოვით ქართლში მეორე სოფელს ამისთანას.

დადგა შემოდგომა და დაიწყო ჩვენს სოფელში „წლის წირვები“. ვინ არ იცის, რას წარმოადგენს ქართველ სოფელში „წლის წირვა“—მიცვალებულის მოსახსენებლად წლის თავზე უნდა პატრონმა დაჰკლას ორი-სამი კარგი ცხვარი, ერთი ძროხა, იშოვოს თუ არა აქვს, რამდენიმე კოკა ღვინო, გამოაცხოს ბევრი პური, დაუძახოს მთელ სოფელს და გაუმასპინძლდეს; უნდა ეცადოს-კი, რომ მამლურავი არავინ წავიდეს, ე. ი. ყველა უნდა კარგად დაათროს. ეს იქნება „წლის წირვა ანუ ხარჯი“, ესე იგი მეორე ქელეხი გადაიხადოს. მაინც ქართველ გლეხის ოჯახი ქორწილით და სიკვდილით არის გაღარიბებული. პირველით იმიტომ, რომ მეტი შეუფერებელი გაზვიადებული მზითევი; მეორეთი იმიტომ, რომ მიცვალებულს წელიწადში 3—4 ჯერ უმართავენ ქელეხს, ორმოცისა და წლის ხარჯებს, სუყველა ამას მისდევს სარგებლით აღებული ვალი და სამუდამოდ დარიბდება ოჯახი. ეჰ! რა გზით არ იხვარცლება ჩვენი ხალხი, რამდენი მეტი ხარჯი აწევს ამ დუხჭირ დროს შეუფერებელი, მაგრამ სად არის ხსნა? „ს.“

—

**ლეჩხუმ-სვანეთი.** ბევრი წელია მას აქეთ, რაც ლეჩხუმ-სვანეთი ასე მადლიერი არ დაუტოვებია ბუნებას ჭირნახულის სიუხვით, როგორც წელს. ყველა სახე-მხიარული ერთმანეთს შეჰხარის: ბაილოცა ღვთის სამართალი, რომ ამდენის ხნით დაშიმშილებული ხალხი მოგვასულდგმულა, თორემ კაცმა არავინ გვითვალ-უურაო.

წლევანდელმა ცაგერის ბაზრობამ, შედარებით წინა წლებთან, ძლიერ უფერულად ჩაიარა, რადგან ამ ბაზრობის გაჭრობა-მრეწველობის უმთავრეს ძარღვს ჯოგები შეადგენენ და ეს კი აკრძალული იყო წელს საქონლის ჭირის გამო.

ამ ბაზრობას ერთს დღეს ერთმა უზნეოდ მოწყალებამ იჩინა თავი. ლეჩხუმის მაზრის უფროსს ბ. ენკელს ღვთისათვის აღთქმა მიუცია, რომ ცაგერის საპატიმროდან გარდახვეწილთ ყორყოლიანსა და რატიანს (სვანებია), თუ დამიჭერინებ, ასი მანეთი დარიბ გლახაკთ დავურიგოო. რადგან ხსენებული პირნი თავიანთის ნებით გამოცხადნენ პოლიციას, ბ ნ ენკელმაც აასრულა ღვთისადმი აღთქმული.

ახალ-მოდის მაძებარი ძაღლები აქაურმა პოლიციამაც გამოიწერა და ორასში მაგალითი ისეთი ჰქნეს, რომ ხალხი გააკვირვეს. აი, ერთი მათგანიც: ერთ მედუქნეს ღამეს თავისი დატოვებული დუქანი სრულიად დაცარიელებული დახვდა. იმ წამსვე ხსენებულ ძაღლების მომვლელს მიმართა. ძაღლებმაც მოაბხეს კვალი და სწორედ იქ მიგიდნენ, სადაც ნაპარევი ნივთები ეწყო მოსახლისასას და გამოიტანეს პირით ნაწილი ნივთებისა. ასეთი გარემოება ცოტა არ იყოს, იმედს იძლეოდა, რომ ჩვენებური თითო-ოროლა ქურდ-ავაზაკები ოდნავ მაინც აილაგმოდნენ, მაგრამ საუბედუროდ, ჩვენი ხალხი ცუდს რასმეში უფრო სწრაფ მიმბაძველობას იჩენს, ვიდრე კარგსა და პატიოსანში. ამიტომ აქაურებმაც იქონიეს სწრაფი მიმბაძველობა და დაიწყეს უცნაურის საშუალებით შედგენა მუქარის წერილებისა. ამ დღეებში ს. უცხერს, თ-დ გრიგოლ ჩიქოვანს მიუვიდა მუქარის ბარათი, რომლით სწერენ, რომ ჩვენ, ნაქორავები ტერორისტები, გვალებით, მოიტანოთ ამა და ამ ადგილზედ (ადგილს უნიშნავენ) ასი თუმანი მოიტანოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში შვილს მოგიკლავთო. ჩვენებური პოლიცია უფრო უმგვანო და უბრალო საქმეებში არის ყურებ-დაცქვეტილი და გადაჭარბებულად მკაცრი; და ასეთის მოვლენას ჩვენში, უფრო რიგიანი იქნება ჯეროვანი და ფხიზელი ყურადღება მიექცეს, თორემ ვინ იცის, როგორი მსვლელობა და განვითარება მიეცემა ასეთ თავ-გასულთა ავაზაკურ მოქმედებას.

ლაილაშელთა თხოვნა სენატორ რეინკეს პირად შეწყნარებულ იქმნა და უკვე მოუვიდათ ნებართვა სასამართლოს განყოფილების ლაილაშში დაარსებისა; ეს სოფლელნი უკვე შესდგომიან სახლის ასაშენებელ ფულის გროვებას.

ოქტომბრის შუა რიცხვებში აქ იყო საგლეხო ბანკის წარმომადგენელი გლეხებთან მოსალაპარაკებლად, რომელთაც აუხსნიათ ბანკის არსებობა და მისგან გაღებულ სესხის პირობები, მაგრამ ხალხს არ მოეწონა, არც სესხის პირობები და მასთან იმის ეჭვებიც აქვთ, რომ ვაი თუ იმდენი გვიხრიკონ, რომ სახაზინოდ გადაგვიქციონ და ამას აისევ ის გვირჩევნია, რომ აქავე როგორმე მოვახერხოთ რამე, თორმე ეს არაფერი დახმარება არ ყოფილაო.

გათავდა აქ ჯარის კაცთა გაწვევა, მაგრამ რამდენადაც გულ-ამღვრეული დარჩნენ ბევრნი, იმდენად ჯიბე-მხიარულნიც მრავალნი.

ლეჩხუმ-სვანეთს ძლიერთა იარაღი ისევ ძველებურად სჭრის და მადაც ხომ ღვთის მოწყალებით, წინანდელზე გადაუჭარბდათ... ვისაც ესხან ყურნი სმენად, ისმინონ!.. **ლაჯანელი ბანოვანი.**

—

**სოფ. ავლევი** (ქართლი) წარსულს წელს თავ. ვ. მ. ამირეჯიბმა გახსნა აქ სამრეწველო სკოლა სამეურნეო განყოფილებით, რომელსაც დაუთმო უსასყიდლოდ მშვენიერი ერთსართულიანი ქვიტკირის შენობა და ოთხი დღის მომესრილი ნაფუზარი სკოლის გვერდით მდებარე, მოაწყო სამაგალითოდ თავისივე ხარჯით, როგორც სკოლა უოკვლიდივე საჭირო კუთვნილებით, ისე ბაღი, სადაც მოსწავლენი პრაქტიკულად სწავლობენ პირველ დაწყებით სხვა და სხვა დარგს მეურნეობისას მასწავლებლის მ. ედილაშვილის ხელმძღვანელობით. ამ ჟამად სკოლაში არის ორი განყოფილება და სწავლობს 90 ბავშვი ორივე სქესისა. ყოველსავე შრომის გარდა სამღვთო სჯულისა, როგორც კლასში, ისე სამეურნეო საწიდას ასრულებს ერთი მასწავლებელი. მიუხედავად ერთის კაცის ამოდენა გონებრივ და ფიზიკურ მუშაობისა, მთავრობა მხოლოდ დაპირებით გვისაზრდოებს მეორე მასწავლებელზე და ჯერ კი არავინ გაუმწესებია.

წარსულს გაზაფხულზე იმავე ბ-ნ. ვ. მ. ამირეჯიბის მეთაურობით დაარსდა აქ საზოგადოება „წვრილი სესხისა“, რომელიც წარდგენილია დასამტკიცებლად დაჭერაც ვეღარ ვეღირსეთ მის პასუხის მიღებას.

—

**დუშეთის მაზრა.** 5 ოქტომბერს, შიომღვიმის მონასტერში ტფილისიდან სალოცავად მისულა შტაბს-კაპიტანის ტანისამოსში გამოწყობილი უცნობი, რომელსაც თავისთვის არაყი კარბენკო უწოდებია; 9 ოქტომბერს, სადამოთი კარბენკო მონასტრის ოთახში მკვდარი აღმოუჩენიათ; როგორც გამოირკვა, კარბენკოს თავი თოფიაზის სიმყავით მოუწამლავს; მკვდარს არავითარი დოკუმენტი, რომლიდანაც შესაძლებელი იყო მისის ვინაობის ან თავის მოკვლის მიზეზის გამორკვევა, არ აღმოაჩნდა.

16 ოქტომბერს, დილით, ქ. დუშეთში საერობო დარაჯთა სადგომში, ამ დარაჯთა უფროსის თ—დ ფალავას 9 წლის ვაჟმა დაიკრომ უნებურად თოფით მძიმედ დასჭრა თავში მათთან მოსამსახურე 13 წლის ბიჭი-ჭიპიშტელი ლადო ფომიაშვილი. დაჭრილი პლასტუნთა ბატალიონის საავადმყოფოში გაგზავნეს.

24 ოქტომბერს, დუშეთში ცნობილ ვაჭარ სტეფანე ბარათიანცთან, რომელიც ადგილობრივ სამოქალაქო სამართველოს ხაზინად იმყოფება, ნახშირის სასყიდლად მისულა მეორე პლასტუნთა ბატალიონის „ფელდფებელის“ ცოლი—მარიამ ტუპიკინისა. ბარათიანცს იგი, ვითომც ნახშირის საჩვენებლად, თავის მაღაზიის ქვეშ არსებულ სარდაფში ჩაუყვანია და იქ მასზედ ძალის ხმარება უსურვებია, მაგრამ ქალი არ დანებებია, ხელიდან გასხლტომია და ყვირილით ქუჩაზე ამოვარდნილა. ამ შემთხვევამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ჩვენს ქალაქში, რადგანაც მას შემდეგ აქამდე მოქალაქეთა და პლასტუნთა შორის არსებული მშვიდობიანი განწყობილება, შეიძლება არა სასურველად გამწვავდეს.

31 ოქტომბერს ღამის 2—3 საათზე ადგილობრივ საპატიმროდან გაიქცა გამოძიების ქვეშ მყოფი ექვსი ტუსაღი, სახელდობრ: ს. მუხრანის მცხოვრები ესტატე ჩუგუაშვილი,—ს. ჭიდურტის მცხოვრები—ია ფეიქრიშვილი, საბარაკლეთელი—ბესო გუდარაშვილი, წილკნელი—მიხა ჩიდინდრიშვილი, ნარდახელი—ლევან აქოქაშვილი და ს. მეტეხის (გორის მაზრა) მცხოვრები—გასილა დავითაშვილი, რომელნიც სხვა და სხვა მძიმე ბოროტმოქმედებათათვის ზოგს კატორღა და ზოგს პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა არ ასცდებოდათ; გაქცეულებს საპატიმროს საკანის ჭერისათვის ფიცარი აუხადათ გადაბით პირსახოცები ერთურთზე და მათის შემწეობით ჭერში აუყვიყვნენ, იქიდან გადასულიყვნენ სახურავზე და შემდეგ ჩამოცხებულიყვნენ კედელზე; ტუსაღის ტანთსაცმელი გაქცეულებს სულ სატუსაღოშივე დაუტოვებინათ და პერანგების ამარა წასულიყვნენ; ეჭვი აქვთ, რომ გაქცეულებს სატუსაღოს გარეშე ვინმე მოელოდა, რომელმაც ხელი შეუწყო მათ დროზედ დამალვა-გაპარებას; პოლიციის მიერ მიღებულმა ენერგიულმა ზომებმა გაქცეულების აღმოსაჩენად ჯერ ჯერობით სასურველი შედეგი ვერ მოიტანა; ოთხს გაქცეულთაგანს: ჩუგუაშვილს, ფეიქრიშვილს, გუდარაშვილს და ქოქაშვილს დუშეთის მაზრაში განთქმულ ყაჩაღ ვასო ხუბაშვილის ბრბოში და მისგან ჩადენილ მრავალ ძარცვა და კაცის კვლაში მონაწილეობა ბრალდებოდათ; ჩიდინდრიშვილს, სხვათა შორის,—რკინის გზის ჟანდარმის მოკვლა და დავითაშვილს—მრავალი ბოროტმოქმედება გორის მაზრაში.

**ამერ-იმერი.**

# გულგრილობა და დაუდევრობა

ქართველებს რომ არა აქვთ შნო ფულის და მამულის მოხმარებისა, ეს ხომ დამტკიცებულია. აი კიდევ ნიმუში ჩვენის დაუდევრობისა: გორის მაზრის სოფელ ქვემო-ქალაში ეგაძემ სათავად-აზნაურო ქართულ გიმნაზიას შესწირა გვარიანი მამული ორ-სართულიანის სახლითა და ყველა მოწყობილებით, რაც კი შეჰშვენის კარგს მემამულეს. ეგაძემ სთხოვა გიმნაზიის გამგეობას ჩაიბაროს ეს მამული და, რადგან იგი იყო კუთვნილება მის გარდაცვლებულ ცოლის მარიამ ამილახვრის ასულისა, ისურვა მის სახელობაზე გახსნილი იქმნას იქ სამეურნეო სასწავლებელიო. აგერ ერთ წელიწადზე მეტია სახლი და მამული უპატრონოდ არის მიტოვებული; გიმნაზიის გამგეობას არც-კი გაუბერტყია ყური და არამც-თუ არ ჩაუბარებია, არც კი დაუნიშნია არავინ ყურის მგდებლად, თუმცა ბ. ეგაძემ რამდენჯერმე სთხოვა ჩაიბარონ მამული. მაგ მამულით ოდესღაც კარგი ოჯახი სცხოვრობდა და ეხლაც რომ ყური უგდონ, მისი შემოსავალი გაუძლებს სკოლის ხარჯს. თუმცა მამული დაგირავებულია, მაგრამ, იმედია, კარგი ყურის მგდებელი მალე მოიშორებს ამ ვალს. რა არის მიზეზი, რომ აქამდის არ იბარებენ მამულს და არ სცდილობენ მალე განახორციელონ სურვილი შემწირველისა? სამეურნეო სასწავლებელი მაგ მამულში მოეწყობა საუცხოვოდ და მკვიდრთათვისაც სანატრელი არის.

ბატონებო, მოჰკიდეთ ხელი საქმეს, კმარა ამდენი გულცივობა, კმარა დაუდევრობა!... **გან-ხანი.**

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი** დაძველებული კალოპრიომა ბევრს გმირსა და ძლიერს პიროვნებას იცნობს. საგმირო ეპოსიდან დაწყებული თითქმის მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე ძლიერ პიროვნებათა დახურათ-ხატება მწერალთა მიერ განსაკუთრებულის ელიფერითა ხდებოდა. ავტორებს საშუალება ეძლეოდათ მდიდარი მასალა გამოეძებნათ წარსულს ცხოვრებაში და თავიანთი გმირები ისეთს პირობებში ჩაეყენებინათ, რომელნიც ხელს უწყობდნენ მათი სიძლიერის გამოჩენას. მოიგონეთ მეფე ლირი, მაკბეტი და მრავალი სხვა გმირი ცნობილ დრამატურგებისა. მეოცე საუკუნე ფულის საუკუნეა. თავს ბრუ დამხვევი ბრძოლა არსებობისთვის აქუცმაცებს პიროვნებას, ფრთებს აკვეცავს მის იდეალებს. უიდეალო პიროვნება კი ყოველთვის მოკლებულია იმ ძალას, რომელსაც გმირები იჩენენ. გორდინს მეტად მძიმე ტვირთი უკისრია: მას უნდოდა დაეხატა სიძლიერე პიროვნებისა, რომელიც ფულის ანგარიშზე აღზრდილა, მაგრამ რომელსაც გრძნობები სავსებით არ დასჩლუნგებია. რაში უნდა გამოხატულიყო ვაჭრობაში აღზრდილ ქალის სიძლიერე? დიდს საკაცობრიო იდეალებს ის ვერ დაიხატავდა, იგი ვერც ისეთი რთული პიროვნება იქნებოდა, რომ შინაგან გრძნობათა წინააღმდეგობაში გამოეჩინა სიძლიერე. მირრა ეფროსი, უმთავრესი გმირი გორდინის დრამისა, ჩვეულებრივი წარმომადგენელია შეძლებულ, მაგრამ ებრაულ ტრადიციებზე აღზრდილ წრისა. იგი შეჩვეულია ბრძანებლობასა და თავისუფლებას. შვილებსაც ისე ზრდის, რომ ისინი მოკრძალებით ეკიდებიან დედას. არამც თუ შვილები, ყველა, ვინც კი ეფროს ახლო იმყოფება, ძალაუნებურად მოკრძალებით იმსჭვალება. სანამ ვაჟი-შვილები ლოზია (ბ-ნი ი. ზარდალიშვილი) და იოსელე (ბ ნი ნ. გვარაძე) პატარები არიან, მირრა ეფროსის ბატონობას წინ არავითარი დაბრკოლება არ ეღობება. მაგრამ ვაჟი-შვილები წამოიზარდნენ; უფროსმა, იოსელემ ცოლის შერთვა განიზრახა. იოსელეს, სიმდიდრეში აღზრდილ ახალ-გაზდას, თქმა არ უნდა, მდიდართა და განათლებულთა წრიდან უნდოდა ამოერჩია საცოლე. დედამ ეს არ მოისურვა და ცოლად ღარიბ ებრაელის რებინუსიმის (ბ-ნი გ. გედევანოვი) ქალი ბეინლელე (ქ-ნი ა. კარგარეთელი) აურჩია. რებინუსიმის სიხარბემ და სიბრიყვემ მირრა ეფროსს აზრი შეუცვალა და დანიშნულთა გაყრა მოისურვა, მაგრამ შვილს ისე ძალიან შეჰყვარებოდა თავისი საცოლე, რომ მოსიყვარულე დედამ შვილის გაუბედურება ველარ მოახერხა. აქ პირველად შეიბორკა მირრა ეფროსის ნების-ყოფა; პირველად აიძულა გარემოებამ ბედს დამორჩილებოდა და თავისი სურვილებისთვისა და პირად სიამაყესთვის ფრთები შეეკვეცა.

იოსელე ბეინლელეს შეირთავს და აქედან იწყება დაუსრულებელი მისვლა-მოსვლა ახალ-გაზდა ცოლ-ქმართა და მირრა ეფროსის შორის. ბეინლელე ოჯახის ბატონობას მოისურვებს, მირრა ეფროს კი არა სურს ბატონობა ვისმესთვის დაეთმო. მაგრამ მირრა ეფროსს იძულებითი ბატონობა არა სურდა. მას უნდოდა მახლობელნი თვითონ გამსჭვალულიყვნენ მოკრძალებით და დაეკმაყოფილებინათ მისი ბატონობის წყურვილი. მთელი სიმდიდრე მისი სრული საკუთრება იყო. ქმარსა ვალის მეტი არაფერი დაუტოვა. მირრა ეფროსმა საქმეები გამოასწორა და დიდი ფირმის პატრონად გადაიქცა. შვილებს კი ქონება თავის საკუთრებად ეგულებოდათ და ერთ მშვენიერს დღეს კიდეც მოსთხოვეს დედას ანგარიში. მირრა ეფროს შეეძლო ქონება თავის შვილებისთვის არ მიეცა. ამით იგი თავის გულის წადილს აისრულებდა და სახლობლეებს, თუ მოისურვებდა, თავის ყმებად გადააქცევდა. მაგრამ იძულებითი ბატონობა მან არ მოისურვა. ქონება შვილებს გადასცა, მაგრამ მორჩილება მაინც მოსთხოვა. ქონების გადაცემამ მირრა ეფროსს ხელიდან გამოაცალა ის თილისმა, რომელსაც ძრწოლაში მოჰყავს ოქროს მოყვარული ბეინლელე და მისი ზნეობა დაცემული მშობლები. ამისთანა პირობებს ლოღიკურად ის მოჰყვა, რომ მირრა ეფროსმა ოჯახს თავი დაანება და თავისი ყოფილ მოურავის სოლომონის (ბ-ნი ვ. მესხიშვილი) ოჯახში დაბინავდა.

ათი წელიწადი გავიდა. იოსელეს შვილი (ქ-ნი ა. ლოლუა) წამოიზარდა და მან ბებია ისევ უკან დააბრუნა. „მეშჩანთა“ წრეში დაბადებული ტრაგედია მხიარული ცეკვით დასრულდა.

პიესას რომ ცოტაოდენი მელოდრამატიული ელემენტი გამოაკლოთ, იგი დრამიდან კომედიად გადაიქცეოდა. ეს „ძლიერი პიროვნება“ მირრა ეფროსი ტიპიური წარმომადგენელია იმ წრისა, სადაც სიძლიერე პიროვნებისა მარტოოდენ ოჯახის წევრთა პირად განწყობილებისა და ურთიერთობაში გამოიხატება. რამ გამოიწვია სულიერი ტანჯვა მირრა—ეფროსის გულში? ის, რაც გორდინის პიესაშია დაცული, ჩვეულებრივი რძალ-დედამთილის ისტორიაა, ცოტა დრამატიული ელემენტებით შეზავებული, მირრა ეფროსს ჰბატონობს ოჯახში, ახლა რძალს უნდა იბატონოს. ამ თემაზე მხიარული კომედიის დაწერა უფრო მეტს სარგებლობას მოუტანდა, ვიდრე ხუთ-მოქმედებიანი, გაჭიანურებული დრამა. თემაც კომედიისთვის უფრო შესაფერისია.

პიესა ებრაელთათვის [illegible] რადღებო უნდა იყოს [illegible] ნაზე მის დადგმას კი, რაკი ერთი ნაწარმოები გორდინისა უკვე დაიდგა, მეტი იყო. რუსეთშიაც კი ეს პიესები განსაკუთრებით იმ ქალაქში იდგმება ხშირად, სადაც ებრაელები მოსახლეობენ. ამას გარდა, მხატვრობის მხრითაც თუ განვიხილავთ, დრამა ძალიან სუსტია. ჯერ ერთი იგი გაჭიანურებულია, მეორეც მოქმედების განსავითარებლად და გრძნობების სულიერ მოძრაობის გადმოსაცემად ძველებური საშუალებანია აღებული: მონოლოგები და ერთი-ერთმანეთის დახასიათება.

პიესამ კარგად ჩაიარა. უმთავრეს როლს ასრულებდა ნ. ჯავახიშვილი, არ გვეგონა, თუ ეს მსახიობი ქალი ასეთ ძნელსა და მისთვის შეუფერებელ როლს სძლევდა; მაგრამ ნ. ჯავახიშვილმა საკმაო სიძლიერით დაგვიხატა მირრა ეფროსის ტანჯვა და სულიერი დრამა. თავდაჭერილი, გამოზომილი თამაშობით ნ. ჯავახიშვილი კარგს შთაბეჭდილებას ახდენდა. მხოლოდ ხანდისხან ხმა ღალატობდა ხოლმე: ხმის კილო ხშირად სულიერ მოძრაობის ხასიათს არ შეეფერებოდა. საზოგადოდ ამ პიესამაც ანსამბლით ჩაიარა. ემჩნეოდა რეჟისორის ხელი. განსაკუთრებით ნ. ჯავახიშვილს ემჩნეოდა გამოცდილი და დაკვირვებულ რეჟისორის ხელმძღვანელობა.

თარგმანი ძალიან სუსტი აღმოჩნდა. ხალხი ცოტა დაესწრო. **Homo.**


# განცხადებანი

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და ხიფილ ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. უთხმარათოებით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—219)

**ექიმი** ნიკო ერისთავ ბათუმში

სამხედრო სამკურნალოს ორდინატორი ღებულობს და არჩენს შინაგან, ბავშვებისა და ნერვებით ავადმყოფებს. მიიღებს ყოველ დღე 1—3 საათამდის ფილტვებით, გულით, ნაწლევებით (ბავშვების ფაღარათით) და ქარებით (რევმატიზმით) ავადმყოფებს; ციებ-ცხელების დიაგნოზი ახალის მეთოდით, სისხლის და ნახველის მიკროსკოპიული გამოკვლევა. ბათუმი ვლადიკავკავის ქ. N 24. (20—171—10)

ვ. ყიფიანის დრამა

**სამეგრელოს მთავარ ლევან**

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიევისა.

ფასი ორი აბაზი

იყიდება „სახ. გაზ.“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.




მოითხოვეთ

**სწორე და მკვიდრი საათები!**

ნუ გამოეკიდებით იაფ ფასიან საათებს. კარგ საათებს ყოველთვის თავისი ფასი აქვს. პარიზის ახალი რამ.

ორას მანეთიან ოქროს საათების მაგიერ გირჩევთ შეიძინოთ კაცის უხმო საათები სამი ხახურავით «სეცხია», რომლებიც სილამაზით და სიმკვიდრით ოქროს საათებს არ ჩამოუვარდებიან, რადგანაც 14% ოქრო აქვს შემოკრული. ამ საათების მექანიზმი ნამდვილი შვეიცარიულია, მუშაობს 15 ქვაზე და მეტად კარგი ხმა აქვს, დაქოქვა 40 საათში ერთხელ, უგასაღებოდ. საათები ნამდვილი ახალი ოქროსხია და თავის კარგ თვისებათა გამო დაჯილდოვებულია ოქროს მედალით და ხიკარგის ნიმნით“. ფასი 5 მ. 25 კ. 2 ც. 10 მ. 4 ც. 19 მ. 50 კ. ვინც გასინჯავს ამ საათებს დარწმუნდება, რომ ის 250 მან. ღირს. საათები იგზავნება წუთით წუთამდე გასწორებული 10 წლის პასუხის მგებლობით, ფას-დადებით და უბეოდ. გაგზავნა გადასახადით 40 კ. (ციმბირში 75 კ.).

ПАРИЖЪ 7 PARIS — S. Strumfeld Rue Mirbel 2 bis.

უფასოდ ვგზავნით ახალი ოქროს მშვენიერ ძეწკვს ბრელოკით და ზამშიბუდით. მიმართვა შეიძლება რუსულ ენაზე. დახურულ წერილზე უნდა დააკრათ 10 კ. მარკა, ღია წერ. 4 კ. ადრესი გთხოვთ ამოსჭრათ და მაგრად დააკრათ კონვერტზე ან ღია ბარათზე.

(Мецль N 53647). (34—15—2)

ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფართოების მრეწველობისა

**სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ ძმ. ძეგველოვების მაღაზიას**

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

**ახალ-ახალი ოსეტრინა** (ზუთხი) და **სევრიუგა** (ტარაღანა).

**ხიზილალა** ახალი, (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია ღვინის ორაგული (სიომგა)

და წითელი ხიზილალა (Кетовая). (წ.—128—24)

ერთად-ერთი ხაწყობი ფართოვის მრეწველობისა.

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა